ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

მედიაციის პროცესში ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკის სტანდარტი და რეგულირების ფარგლები

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორი: ნინო რაზმაძე

თემის ხელმძღვანელი: ნათია ჩიტაშვილი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2019

სარჩევი

შესავალი 3

2. ადვოკატ-წარმომადგენელი, როგორც მედიაციის პროცესის მონაწილე 7

2.1. ადვოკატი - მედიაციის პროცესის დამაბრკოლებელი მონაწილე? 8

2.2. მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის საჭიროება და მისი შედეგები 11

2.3. ადვოკატის ფუნქციები და მისი ურთიერთობა კლიენტთან 13

2.3.1. კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან მოქმედების მოვალეობა..... 17

2.3.2. ადვოკატის მიერ დავის გადაწყვეტის ინიცირება მედიაციის გზით . 18

3. ადვოკატ-წარმომადგენლისთვის დადგენილი ეთიკის ზოგადი ნორმებიდა ვალდებულებათა შინაარსი 20

4. ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესის სხვა მონაწილე პირების მიმართ 24

4.1. კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება მედიაციის პროცესში 25

4.2. მოწინააღმდეგე მხარის მიმართ არსებული ვალდებულებები 26

4.3. სასამართლო და მართლმსაჯულების სისტემის წინაშე არსებული ვალდებულებები 27

5. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედება და მისი ეფექტურობა 29

6. საერთაშორისო გამოცდილება ადვოკატთა ეთიკის სტანდარტთან დაკავშირებით 34

6.1 ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატთა ასოციაციის მიერ პროფესიული ქცევისათვის დადგენილი მოდელური წესები (ABA) 35

6.1.1. ეთიკის კომისიის რეკომენდაციები მოდელურ კანონთან დაკავშირებით..... 40

6.2. არკანზას შტატის მიერ დადგენილი სტანდარტები დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებში მონაწილე ადვოკატებისთვის 43

6.3. ავსტრალიის სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის 44

7. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა: 46

7.1. ადვოკატის მედიაციის პროცესში ნეიტრალურ პირად ქცევა 46

7.2. მედიაციის პროცესისთვის დამახასიათებელი ქცევის ჩამოყალიბება 47

7.3. მედიაციაში მონაწილე მხარეებისთვის ეთიკის წესების დადგენის აუცილებლობა 50

დასკვნა 53

ბიბლიოგრაფია 58

„მთავარი ის კი არ არის, ვართ თუ არა ვინმესთან კონფლიქტში, მთავარია - რას ვუშვებით კონფლიქტს და რას ვქმნით მისგან.“
თომას ფ. კრუმი

შესავალი

ადამიანი მრავალი ურთიერთობის მონაწილეა, ურთიერთობათა გარკვეული ნაწილი ხშირ შემთხვევაში კონფლიქტის სახეს იღებს, მისი სუბიექტები კი ცდილობენ ამ უთანხმოების გადაჭრის გზების გამოძებნას. კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს: აზრთა სხვადასხვაობა, განსხვავებული ღირებულებები, შეფასებები, მოსაზრებები და სხვა.[1]

საუკუნეების განმავლობაში, საზოგადოება კონფლიქტის გადაჭრისთვის სასამართლოს მიმართავდა,[2] თუმცა იურისტები დღემდე განაგრძობენ ფიქრს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული, უკეთესი და ბევრად ეფექტიანი გზის გამოძებნაზე.[3] სწორედ ერთ-ერთ ასეთ ალტერნატიულ საშუალებას წარმოადგენს მედიაცია, რომელიც საქართველოში შედარებით ახალი ინსტიტუტია და ქართულ სამართლებრივ სივრცეში ცდილობს ადგილის დამკვიდრებას.

სამოც წელზე მეტია, რაც მედიაცია საყოველთაოდ მიღებული გახდა, მათ შორის შიდასახელმწიფოებრივი და გარე კონფლიქტების მოსაგვარებლად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცივი ომი დასრულდა და ადამიანები მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდნენ.[4]

მედიაცია წარმოადგენს სპეციალური ცოდნის მქონე, ნეიტრალური პირის მიერ წარმართულ მოლაპარაკების პროცესს, სადაც მესამე პირი - მედიატორი ეხმარება დაპირისპირებულ მხარეებს მათ შორის წარმოშობილი უთანხმოების შეთანხმებით დასრულებაში.[5]

მედიაციის მთავარ დანიშნულებას მხარეთა შორის არსებული სოციალური ურთიერთობების აღდგენა წარმოადგენას, სწორედ ამიტომ

---

[1] *ცერცვაძე გ.,* მედიაცია, თბილისი, 2010, 22.

[2] *წულაძე ა.*, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბილისი, 2016, 6.

[3] *Goldsmith J. C.*, *Ingen-Housz A.*, *Pointon G. H.*, ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011, 4. წიგნიდან: წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბილისი, 2016 , 6.

[4] *Galluccio M.,* Handbook of international negotiation, interpersonal, intercultural and diplomatic perspectives, Brucels, Belgia, 2014, 139.

[5]მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, გ.ცერცვაძის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 12.

შესაძლოა ითქვას რომ მედიაციის ერთ-ერთი მიზანი სოციალურია.[6] მედიაციის პროცესი, რომელიც აგებულია თვითგამორკვევის, გამარტივების, ურთიერთდახმარებისა და ინტერესებზე დაფუძნებულ განხილვებზე, კონფლიქტის გადაჭრას უზრუნველყოფს.[7]

აღსანიშნავია, რომ სასამართლო არ წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული პრობლემის მოგვარების საუკეთესო საშუალებას.[8] ერთი ფრანგული ანდაზის მიხედვით, ცუდი მორიგება უკეთესია, ვიდრე კარგი პროცესი.[9] ნებისმიერ კონფლიქტს თან ახლავს ემოციები, რომელთა გამოვლენა სამართლებრივი პროცედურების დროს ნაკლებად ხდება, მედიაციის პროცესი კი ორიენტირებულია მხარეთა ემოციების გამოხატვასა და გამოვლენაზე, რაც რიგ შემთხვევებში შესაძლოა მორიგების წინაპირობა გახდეს.[10]

სასამართლოთა გადატვირთულობის გამო, მხარეთა შორის არსებული დავების განხილვა დიდხანს ჭიანურდება, რაც მხარეთათვის გარკვეულწილად არაკომფორტულია. სასამართლოსგან განსხვავებით, მედიაცია დავის გადაწყვეტის უფრო სწრაფი, ეფექტიანი და იაფი საშუალებაა. უმეტესწილად, სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტა კონფლიქტის ეფექტურ გადაწყვეტას არ გულისხმობს, რადგან საქმე ეხება გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებას, რაც მხარეთა შორის არსებულ დავაში სხვადასხვა ორგანოს ჩარევას გულისხმობს, მედიატორის მონაწილეობით წარმართული პროცესი კი ეფექტურია, რადგან უთანხმოება კომპრომისებზე წასვლისა და ყოველგვარი მესამე პირების ჩარევის გარეშე აღმოიფხვრება.[11] სასამართლო პროცესი საჯაროა და შესაბამისად საზოგადოებრივი გამოკვლევის ობიექტი ხშირად ხდება, ამასთან სასამართლო პროცესები ტარდება ნეიტრალური, მიუკერძოებელი მესამე პირის მიერ, რომელიც მოქმედებს დადგენილი წესების ფარგლებში და უსმენს თითოეულ მხარეს.[12] სასამართლო გადაწყვეტილებების ძლიერი ბუნების მიუხედავად, მედიაციის როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების ზრდა და მიღება, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორში, შესაძლოა, გარკვეულწილად მიჩნეულ იქნას მართლმსაჯულებაში სასამართლო მოდელის ნაკლოვანებებზე რეაგირებად.[13] მედიაციის პროცესის

---

[6] იქვე.
[7] *Max R.A.,* Mediatio in Public Policy, 47 Cumb. L. Rev. 293, 2017, 44.
[8] *ცერცვაძე გ.,* მედიაცია, თბილისი, 2010, 24.
[9] *იქვე.*
[10] *იქვე,*13.
[11] *იქვე.*
[12] *Corbin L., Baron P., Gutman J.,* ADR Zealots, adjudicative romantics and everything in between: lawyers in mediations, UNSW Law Journal, Berlin, 2015, 495.
[13] *იქვე.*

დროს არ ხდება მტყუანის და მართალის გამოვლენა, ერთი რომელიმე მხარისთვის რაღაცის მიკუთვნება, მეორისთვის კი ჩამორთმევა. მედიაციის პროცესში მხარეები ნებაყოფლობით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, სპეციალური ცოდნის მქონე პირის დახმარებით, თავად მიდიან გარკვეულ შეთანხმებამდე, რითაც მნიშვნელოვნად ზოგავენ დროს, ენერგიასა და ფინანსებს.

მედიაციის პრაქტიკულ ზრდასთან ერთად აგრეთვე გაიზარდა ლიტერატურაში მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორი ქცევაა დამახასიათებელი საუკეთესო შუამავლისა და მედიატორისთვის.[14] აღსანიშნავია, რომ მედიატორის გარდა მედიაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მხარეთა წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის მატარებელნი იყვნენ. მიიჩნევა რომ ადვოკატებს შეუძლიათ მხარეებს დაეხმარნონ თავიანთი ინტერესების უკეთ გამოვლენაში და ხელი შეუწყონ ისეთი შეთანხმების მიღწევასაც კი რომელიც თითქმის მიუღწევადი იყო.[15]

თუმცა საკითხავია, რამდენად სწორია ადვოკატების მონაწილეობა მედიაციის პროცესში? ხომ არ იქნებიან ისინი პროცესის დამაბრკოლებელი მონაწილეები, თუკი ისინი სასამართლო სისტემისთვის დამახასიათებელ შეჯიბრებით ქცევას გამოიყენებენ. სწორედ ამ და სხვა საკითხების დასარეგულირებლად არსებობს ადვოკატ-წარმომადგენლისთვის დადგენილი ეთიკის ზოგადი სტანდარტი. „მედიაციის ინსტიტუციონალიზაცია დღის წესრიგში აყენებს დავის მოგვარების სამართლებრივი კულტურისა და ცნობიერების დახვეწის აუცილებლობას. აღნიშნულ ცნობიერებას მნიშვნელოვანწილად აყალიბებს ეთიკის სტანდარტების დადგენა და მათი აღსრულების ქმედითი ინსტრუმენტალური ინფრასტრუქტურის დანერგვა შიდასახელმწიფოებრივ სისტემაში.“[16]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის პირველი ნაწილი მიმოიხილავს, ზოგადად, ადვოკატ-წარმომადგენლის, როგორც მედიაციის მონაწილე პირის როლს და მისი ეთიკურ ვალდებულებებს, მეორე ნაწილში ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო გამოცდილებაზე, ხოლო მესამე ნაწილი მიუთითებს, წინამდებარე ნაშრომში დასახული პრობლემის გადაჭრის გზებზე. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი და ანალიტიკური,

---

[14] *Galluccio M.,* Handbook of international negotiation, interpersonal, intercultural and diplomatic perspectives, Brucels, Belgia, 2014, 139.

[15] *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, თბილისი, 2010, 232.

[16]*ჩიტაშვილი ნ.*, ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, სამართლის ჟურნალი N2, 2016, 29.

კვლევითი მეთოდი, ამასთანავე მოცემულია სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მიდგომები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

2. ადვოკატ-წარმომადგენელი, როგორც მედიაციის პროცესის მონაწილე

მედიაცია არის სტრუქტურიზებული პროცესი, რომლის მეშვეობითაც ორი ან მეტი მხარე ნებაყოფლობით, შუამავლის დახმარებით ცდილობს მათი დავის ფარგლებში შეთანხმების მიღწევას.[17] მედიაციის პროცესის წამყვან მონაწილეებს უპირობოდ პროცესის მხარეები და მედიატორი წარმოადგენენ, მიიჩნევა რომ მიუხედავად ადვოკატების დიდი პოტენციალისა, მათ მედიაციის პროცესში მაინც მეორადი როლი აქვთ.[18] მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში მხარეები მიმართავენ კონკრეტულ პიროვნებებს კონსულტაციის გაწევისთვის და სთხოვენ მათ, იყვნენ მათი წარმომადგენლები მედიაციის პროცესში. ბოლო დროს, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების პოპულარიზაციასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა ადვოკატთა როლი მედიაციის პროცესში.[19]

ადვოკატთა მონაწილეობის შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, მეცნიერთა ერთი ნაწილს მიაჩნია რომ ადვოკატების მონაწილეობა მედიაციის პროცესში კარგია, რადგან ადვოკატები ეხმარებიან მხარეებს მათი რეალური სურვილებისა და ინტერესების გამოკვეთაში.[20]

შესაძლებელია რამდენიმე ტიპის ადვოკატის გამოყოფა, მათ შორის, ადვოკატი როგორც: მრჩეველი, მომლაპარაკებელი, შემფასებელი და პრობლემის გადამჭრელი. აღსანიშნავია რომ ადვოკატი, პირველ რიგში, ირგებს მრჩეველის ფუნქციას და კლიენტს აწვდის მისთვის კანონით მინიჭებული უფლებების და მოვალეობების შესახებ ინფორმაციას, განუმარტავს მას მედიაციის პროცესის პრაქტიკულ შედეგებს.[21] ადვოკატი, როგორც მომლაპარაკებელი, ცდილობს კლიენტისთვის ხელსაყრელი და სასურველი შედეგის მიღწევას, თუმცა პროცესის სხვა მონაწილეებთან მიმართებით გულახდილ დამოკიდებულებას მოითხოვს.[22] ადვოკატი, როგორც შემფასებელი, შეისწავლის კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს და ამის შემდგომ წარუდგენს ანგარიშგებას მის კლიენტსა და პროცესის სხვა მონაწილეებს.[23]

---

[17] *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and commercial Mediation, Global Comparative Perspectives, Montreal-Valencia, 2015, 43.

[18] *იქვე.*

[19] *Douglas K, Batagol B.,* The Role of Laweyers in Mediation: insights from Mediators at Victoria's Civil and Administrative Tribubal, Monash University, 2015, 758.

[20] *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, თბილისი, 2010, გვ.232.

[21] *Corbin L., Baron P., Gutman J.,* UNSW Law Journal, ADR Zealots, Adjudicative Romantics and Everything Between:Lawyers in Mediations, Berlin, 2015, 498.

[22] *იქვე,* 499.

[23] *Corbin L., Baron P., Gutman J.,* UNSW Law Journal, ADR Zealots, Adjudicative Romantics and Everything Between:Lawyers in Mediations, Berlin, 2015, 499.

პრობლემის გადამჭრელ ადვოკატს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მედიაციის პროცესში. ხშირ შემთხვევაში, პროცესის მხარეებს აქვთ არათანაბარი ცოდნა, განათლების დონე, ფინანსური შესაძლებლობები და შეხედულებები, ხოლო ადვოკატების ყოფნა პროცესზე აღნიშნული პრობლემის დაბალანსებასა და გაუმჯობესებას უწყობს ხელს.[24] იმ შემთხვევაში თუ ადვოკატები არ იქნებიან წარმოდგენილნი პროცესზე, შეთანხმების პროექტის შექმნის ტვირთი მედიატორს დააწვება. ზემოაღნიშნული პროექტი შემდგომში მხარეებმა უნდა გააცნონ თავიანთ ადვოკატებს, რათა დაეთანხმონ ან უარყონ ის, აღნიშნულზე დაგვიანებული პასუხი კი ზრდის იმის რისკს, რომ მხარეები საერთოდ უარს იტყვიან შეთანხმებასა და მოლაპარაკებაზე.[25]

აღსანიშნავია, აგრეთვე ის თუ დამატებით რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობას: კლიენტი ადვოკატისგან ითხოვს ინფორმირებულობას, რაც შემდგომში მას დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. ინფორმაციის მიწოდებით ადვოკატს საშუალება ეძლევა მისცეს კლიენტს კარგი რჩევები. კლიენტისთვის არსებული კონკრეტული გარემოებების ზუსტად ცოდნის გარეშე, რთული კი არა, პრაქტიკულად წარმოუდგენელია კლიენტისთვის ადვოკატის პროფესიონალური აზრის გაზიარება, რადგან ხშირ შემთხვევაში კლიენტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასანდო და არასრულია. [26]

2.1. ადვოკატი - მედიაციის პროცესის დამაბრკოლებელი მონაწილე?

სასამართლო პროცესის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპია. შეჯიბრებითობის, პაექრობის დროს მხარეები არ მიდიან რაიმე კომპრომისებზე, არ თმობენ პოზიციებს და ცდილობენ საკუთარი ინტერესები მაქსიმალურად წინ წამოწიონ, კონკრეტული საქმე „გამარჯვებით“ დაამთავრონ. მხარეთა ასეთი სურვილების დაკმაყოფილებას სამართლებრივი კუთხით უზრუნველყოფენ ადვოკატები, რომლებიც მიჩვეულები არიან კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ ყველანაირი ქმედების განხორციელებას.

ადვოკატები, უფრო მეტად მიდრეკილნი არიან შეჯიბრებითობის პროცესის მიმართ, ამის მტკიცების საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ დაიკოფის სწავლება, რომელიც განმარტავს ადვოკატთა ხასიათს, პიროვნულობას და მათ თანმდევ ქცევას. დაიკოფი ამბობს, რომ ზოგადად

[24] *იქვე.*
[25] *იქვე.*
[26] *იქვე.*

ადვოკატები კონკურენციისკენ მიდრეკილნი, აგრესიულები, მიზნის მიღწევაზე ორიენტირებულები არიან და სხვა ადამიანებთან შედარებით, იმის მაგივრად რომ იგრძნონ, გადაჭარბებულად ფიქრობენ. განსხვავება იმას შორის, ვინც ფიქრობს და ვინც გრძნობს, არის ის, რომ ვინც ფიქრის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას ანიჭებს უპირატესობას, შედეგამდე მოწესირგებული, ლოგიკური ხერხებით მიდის. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებს ის განიხილავს მიზეზს და შედეგს, პოტენციურ ქმედებებს. ხოლო ის ვინც ფიქრობს, ხშირად, არის ცივი და სურს გათვალოს ყველაფერი, იმიტომ რომ მისი გადაწყვეტილებები არ გამოხატავს მის პირად ღირებულებებს.

ადამიანები, ვინც ბევრს ფიქრობენ, სიმართლის გამოკვლევაზე ფოკუსირდებიან, და სამართლიანობის ძებნაზე არიან ორიენტირებულნი. ისინი კი, ვინც შეგრძნებების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას, პირად ღირებულებებზე აფუძნებენ არჩევანს. ისინი ეძებენ ჰარმონიას, და არიან მგრძნობიარეები, აინტერესებთ თუ რა ეფექტს ახდენს სხვაზე მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ისინი ეძებენ რა არის კარგი მათთვის და სხვებისთვის და აგრეთვე ეძებენ მადლიერებას. თუ ამ მოსაზრებას დავუჯერებთ, ადვოკატები უფრო მეტად სასამართლო პროცესისკენ არიან მიდრეკილნი, ვიდრე მედიაციისკენ. ანუ ადვოკატები უფრო უკეთესები არიან მათი კლიენტების უფლებების დაცვაში, ვიდრე იმაში, რომ დაეხმარონ კლიენტს გაითვალისწინოს, გაიაზროს მისი ქმედებების შედეგები პირადი და სოციალური ფასეულობების ჭრილში. [27]

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სასამართლოსგან განსხვავებით მედიაციის პროცესი შეჯიბრებითობის ელემენტისგან თავისუფალია, თუმცა ვინაიდან მედიაციის პროცესშიც ვხვდებით ადვოკატებს, როგორც მხარის წარმომადგენლებს, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ხომ არ არიან ისინი შებოჭილნი გარკვეულწილად შეჯიბრებითობის პრინციპით და ხომ არ ექმნება ამით მედიაციის პროცესის მიმდინარეობას და მის შედეგებს საფრთხე?!

მოლაპარაკებების შესახებ გაბატონებული თეორიების ნაწილი მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებების პროცესში დაპირისპირება დიდ როლს თამაშობს და ის აუცილებელიც კია. ამიტომ, მედიაციის ბუნება არ არის განადგურებული ისეთი შეჯიბრებითი ქცევით, როგორიცაა პოზიციების მტკიცება, კანონიდან გამომდინარე არგუმენტების წარმოდგენა და ინფორმაციის გამოვლენისადმი ფრთხილი მიდგომა.[28] ერთ–ერთი ავტორი ერთმანეთისგან განასხვავებს მედიაციის პროცესში ადვოკატის შეუფერებელ და შესაფერის როლს.

---

[27] *Corbin L., Baron P., Gutman J.,* UNSW Law Journal, ADR Zealots, Adjudicative Romantics and Everything Between:Lawyers in Mediations, Berlin, 2015, 502-503.

[28] *Wolski B.,* On Mediation,Legal Representatives and Advocates, U.N.S.W.L.J., 2015, 40.

მოიხსენიებს მათ, როგორც აგრესიულ დაპირისპირებულ ადვოკატებად და დავის მოგვარების ასერტიულ იურისტებად, თუმცა საეჭვოა რომ სიტყვა „ასერტიულმა“ადვოკატს გაუადვილოს ეთიკური და არაეთიკური ქცევის განსხვავება მედიაციის პროცესში.[29]

„შეჯიბრებითობის სისტემა საფუძვლად უდევს იურისტის ქცევის ბუნებას“.[30] სასამართლო პროცესი თავისთავად გულისხმობს გამარჯვებულსა და დამარცხებულს, მოსამართლე ხომ გადაწყვეტილებას ერთი მხარის სასარგებლოდ იღებს, სწორედ ამიტომ საპაექრო მიდგომა მიიჩნევა „კონფლიქტად, სადაც დავა ტერიტორიისთვის მიდის, სადაც ერთი იგებს, მეორე - აგებს“.[31] შეჯიბრებითი სისტემისთვის დამახასიათებელი ქცევა, მიზნის მიღწევის აუცილებელ და საუკეთესო საშუალებადაც კი გვევლინება სასამართლო დარბაზში (რა თქმა უნდა,ზომიერების ფარგლებში) მაგრამ შესაძლებელია იგივე მიდგომა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებისთვის საუკეთესო ან თუნდაც მისაღები იყოს? ალტერნატივა ხომ მოიაზრებს, სხვა საშუალებას, ხერხს და ხშირად სხვა მიზანსაც.

ამასთან, აღსანიშნავია რომ სასამართლო პროცესისა და მედიაციის პროცესის მიზნები ერთმანეთისგან განსხვავდება. „შეჯიბრებითობის სისტემა ცდილობს დაადგინოს სიმართლე, შეინარჩუნოს უფლებები, განსაზღვროს სწორი და მცდარი, და დასაჯოს დამნაშავე. მედიაციის პროცესი ყურადღებას ამახვილებს ინტერესების დადგენაზე, პრობლემის გადაჭრის კრეატიულ ხერხებზე, მხარეების ძალაუფლებით აღჭურვასა და მხარეთათვის მისაღებ გამოსავალზე.“[32] სასამართლოში ადვოკატი ცდილობს მოსამართლის დარწმუნებას იმაში რომ მისი შეთავაზება საუკეთესოა, თუმცა მედიაციის პროცესში ადვოკატი ცდილობს მეორე მხარის დარწმუნებას იმაში რომ შეთავაზება რომელიც მხარეთათვის არის გაკეთებული, მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს.[33] მედიაცია სწორედ ის პროცესია, რომელიც მოითხოვს სასამართლო სისტემის შემტევი აზროვნებისგან

---

[29] *იქვე,* 40.

[30]*კიმბერლი კ. კოვაკი,* ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ჭურჭელს (ტიკი–რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან) :იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, 2012, 144.

[31] *ლემპერერი ა.პ., კოლსონი ო.,* მოლაპარაკების მეთოდები, ჯისიაი, 26–27.

[32]*კიმბერლი კ.კოვაკი,* ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ჭურჭელს (ტიკი–რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან) :იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა),ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2012 ,146.

[33]*Wolski B.,* On Mediation,Legal Representatives and Advocates, U.N.S.W.L.J.,2015, 35.

განსხვავებულ, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ აზროვნებას.[34] ადვოკატები იმის მაგივრად, რომ მხარეს წარმოადგენდნენ მედიაციაში, საკუთარ თავს შეჯიბრებითობის პროცესის მონაწილეებად წარმოიდგენენ,[35] რაც მხარეთა შორის ურთიერთობებს ძაბავს და იწვევს მისაღწევ მიზანთა გაჭიანურებას.

კონფლიქტის მომგვარებლებს არ უნდა გაუკვირდეთ თუ კლიენტებისა და მათი ინტერესები ერთმანეთს არ დაემთხვევა. ნებისმიერმა, ვისაც ოდესმე ადვოკატის, ან მედიატორის როლი მოურგია იცის, რომ კლიენტის ინტერესები ხშირ შემთხვევაში საერთოდ აცდენილია მათ ინტერესებს. თუმცა ასეთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი რომ პროფესიონალებმა შეხედულება შეიცვალონ, რადგან მათ აქვთ თავისებური ხედვა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა მიაღწიონ მოლაპარაკებას.[36] ადვოკატები აწარმოებენ მოლაპარაკებებს და აძლევენ კლიენტებს რჩევებს იმასთან დაკავშირებით თუ რა შეიძლება მოხდეს მანამ სანამ საკითხი სამართლებრივ ორგანოებამდე მივა.[37]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვოკატის მონაწილეობას მედიაციის პროცესში დადებითთან ერთად შესაძლოა უარყოფითი მხარეებიც ჰქონდეს და ადვოკატი მხსნელის ნაცვლად, მედიაციის პროცესის დამაბრკოლებელ მონაწილედაც მოგვევლინოს.

2.2. მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის საჭიროება და მისი შედეგები

სამოქალაქოსამართლებრივი დავების უმრავლესობა სტატისტიკურად მედიაციის საშუალებით წყდება, რომელიც სტანდარტულად მხარეთა მონაწილეობით მიმდინარეობს, თუმცა ადვოკატთა ჩართულობა გათვალისწინებულია ერთიანი მედიაციის აქტით (UNIFORM MEDIATION ACT), რომლის მიხედვითაც „იმ ადვოკატს ან სხვა ინდივიდს, რომელსაც აქვს მინიჭებული უფლებამოსილება და არის დანიშნული მხარის მიერ, შეუძლია მხარესთან ერთად მიიღოს მონაწილეობა მედიაციის პროცესში.“[38] ადვოკატის მონაწილეობას მედიაციის პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვანი დატვირთვა

---

[34] *კიმბერლი კ.კოვაკი,* ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ჭურჭელს (ტიკი–რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან) :იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა),ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2012, 146.

[35] *იქვე.*

[36] *Mayer B.,* Confronting the Crisis in Conflict Resolution, USA, 2004, 21.

[37] *Macaulay S.,* Lawyers and consumer protection laws, 1979, 116.

[38] *გურიელი ა.,* ადვოკატის როლი სამოქალაქო სამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში, წელიწდეული, 2016, 123.

აქვს. მის მიერ განხორციელებული ქმედებები განსაზღვრავს არა მხოლოდ კლიენტის ინტერესების წარმოჩენას, არამედ მედიაციისადმი საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას.[39] ადვოკატი მედიაციის პროცესში მხარეებს უმთავრესად განსახილვევ საკითხებთან დაკავშირებით რჩევა-დარიგებებს აძლევს, ამასთან აჩვენებს კლიენტს მედიაციის დადებით მხარეებს, აძლევს სამართლებრივ რჩევებს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, მედიაციის პროცესში ადვოკატთა მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათი რჩევებით მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი ინტერესები გააცნობიერონ.[40] ამასთანავე, აღსანიშნავია რომ ადვოკატის მონაწილეობით წარმართული მედიაციის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი არის ის, რომ ადვოკატის დახმარებით კლიენტს უმარტივდება საკუთარი ღირებულებების, ქვეცნობიერი ინტერესისა და საჭიროებების გამორკვევა, რის შედეგად შეთანხმების მიღწევა ბევრად მარტივი ხდება.[41]

ადვოკატები ეხმარებიან მხარეებს მათი ინტერესებისა და პოზიციების მკვეთრად გამოხატვაში. კარგი ადვოკატი საშუალებას აძლევს კლიენტს რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყოს მეტად ინფორმირებული.[42] ადვოკატები არიან ძალიან საჭირო პიროვნებები, ვინაიდან ყველა სიტუაცია თავის თავში სამართლებრივი ელემენტის არსებობას მოიცავს.[43]

ზოგადად, როდესაც საქმე ეხება ადამიანის პირად ინტერესს, შეუძლებელია მან შეძლოს ემოციების მართვა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლო ან მედიაციის პროცესზე ხედავს თავის მოწინააღმდეგე მხარეს. ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, უმრავლესობა მიისწრაფვის მხოლოდ საკუთარი „მე-ს“ დაკმაყოფილებისკენ, რის მისაღწევადაც არაფერზე იხევს უკან. მედიაციის პროცესში, მნიშვნელოვანია, მხარის ემოციური სტაბილურობა. ადვოკატის მედიაციის პროცესში მონაწილეობის კიდევ ერთი დადებითი მხარე კი სწორედ ეს არის, „იურისტს შეუძლია დაამშვიდოს აღელვებული და შეშინებული კლიენტი.“[44]

---

[39] *იქვე,* 122.
[40] *იქვე,* 124
[41] *იქვე,* 124-125
[42] *Douglas K., Batagol B.,* The Role of Lawyers in Mediation: inisghts from Mediators at Victoria's and Administrative Tribunal,778.
[43] იქვე.
[44] *გურიელი ა.,* ადვოკატის როლი სამოქალაქო სამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში, წელიწდეული, 2016, 124-125.

2.3. ადვოკატის ფუნქციები და მისი ურთიერთობა კლიენტთან

მედიაციის პროცესში იურისტებისთვის ყველაზე ნაცნობი საქმიანობა მხარეებს შორის შუამავლის როლის მორგება იყო, თუმცა ისინი ამის გარდა მხარეთა წარმომადგენლებადაც გვევლინებიან.[45] ადვოკატის, როგორც „დამოუკიდებელი მრჩეველის" როლი პირველად აღიარებულ იქნა ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მიერ 1984 წელს, საოჯახო მედიაციის პრაქტიკის სტანდარტების დამტკიცებისას და იგი დღესაც აღიარებულია მრავალ ეთიკურ კოდექსსა და სასამართლო დანაწესში.[46] მედიაციის პროცესში კლიენტისთვის გასაწევ მომსახურებაში ადვოკატისთვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები მოიცავს, კონსულტაციის გაწევას, მოლაპარაკებას, შეფასებასა და ადვოკატირებას.[47]

დავის გადაწყვეტის ალტერნატილი მეთოდების ფარგლებში, კლიენტებისთვის რჩევის მიცემის პროცესში, იურისტებს სჭირდებათ ბევრი უნარი, მათ შორის, ლიდერული უნარი, კომუნიკაციის უნარი, სტრესის მიმართ ტოლერანტობის გამოვლენის უნარი, პირადი მოტივაციის მიცემისა და კრეატიულობის უნარი. იურისტები, რომლებიც მონაწილეობენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებების პროცესში, იყენებენ მონაცემებს, ახალ ტექნოლოგიებს, ირგებენ ახალ როლებს, როგორებიცაა: კოლაბორაციული როლი (მულტიდისციპლინარული მიდგომა), შემფასებლის როლი (აფასებენ სამართლებრივ სერვისებს და ორიენტირებულები არიან, მეგობრული სერვისების განვითარებაზე), სტრატეგიული ფასილიტატორის როლი და სხვა.[48]

კლიენტისთვის კონსულტაციის გაწევისას ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს და შეაფასოს თუ რამდენად მოდის შესაბამისობაში კლიენტის მოთხოვნებთან და საჭიროებებთან დავის მედიაციით გადაწყვეტა და მოითხოვს თუ არა ადვოკატის მხრიდან როგორც სტრუქტურული, ისე ემოციური ფაქტორების გათვალისწინებას. თუ კლიენტი გადაწყვეტს მედიაციის პროცესში მონაწილეობის მიღებას, ადვოკატმა კონსულტაციის გაწევისას უნდა დაგეგმოს მრავალი საკითხი და მონაწილეობა უნდა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[49]

მხარეები მედიაციის პროცესში თავიანთ ისტორიებს მედიატორს, ადვოკატებსა და მოწინააღმდეგეებს უყვებიან. გრძნობები და ემოციები ასეთ

---

[45] *Nolan-Haley J.,* Lawyers, Clients, and Mediation, 73 Notre Dame L. Rev. 1369 (1997), 1375.
[46] *იქვე,* 1377.
[47] *იქვე,* 1376.
[48] *Corbin L., Baron P., Gutman J.,* UNSW Law Journal, ADR Zealots, Adjudicative Romantics and Everything Between:Lawyers in Mediations, Berlin, 2015, 500-501.
[49] *იქვე.*

დროს ღირებულია. მედიაციის პროცესში კლიენტის ისტორიის მოსმენისას ადვოკატებს შეუძლიათ გამოხატონ თანაგრძნობა, რაც მათ კლიენტებთან თანამშრომლობასა და პრობლემების გადაჭრაში უფრო მეტად დაეხმარება.[50]

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის დაწყებისას, ადვოკატებმა, პირველ რიგში, უნდა მიიღონ ინფორმაცია კლიენტის ემოციური მდგომარეობის შესახებ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, მეორე რიგში, ადვოკატები უნდა ეცადონ იმის გაგებას, თუ რა წარმოადგენს მათი კლიენტის უპირველეს მიზანს.[51] მიუხედავად ამ მიზნების შესაძლო ცვლილებებისა, ადვოკატმა მთელი მოლაპარაკების პროცესის განმავლობაში პატივი უნდა სცეს ამ მიზნებს. შემდგომ, ადვოკატებმა უნდა უზრუნველყონ კლიენტის ზოგადი ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართება საკონსულტაციო პერიოდი. ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მიზანი აქვს კონსულტაციის გაწევას, როგორც კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობისთვის, ისე მედიაციის პროცესისთვის. აგრეთვე ადვოკატმა უნდა მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა როლი ექნება მედიაციის პროცესში მას და რა - ადვოკატს.[52] კლიენტებმა უნდა იცოდნენ,თუ რით განსხვავდება მედიაციის პროცესი სამართალწარმოებისგან: სასამართლო გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, სადაც დავების გადაწყვეტა ხდება უცნობი პირების მიერ, მხარის შესაძლო მონაწილეობის გარეშე, მედიაციის პროცესი საშუალებას აძლევს მხარეებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ დავების მოგვარებაში.[53]

ადვოკატების დახმარების გარეშე, ხშირად კლიენტებმა არ იციან დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების შესახებ და ხშირ შემთხვევაში ვერ ხვდებიან თუ როგორ დაიწყონ მოლაპარაკებები ისეთ დავასთან დაკავშირებით, რომელშიც მკაცრად შეჯიბრებითი პოზიცია უკავიათ. დავის მოგვარებით შესაძლებლობის განხილვა, შესაძლოა დაეხმაროს კლიენტს სწორი მოლოდინების განვითარებასა და უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებაში.[54]

ხშირ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ კონტროლირებად მედიაციის პროცესს წინ არ უსწრებს კლიენტებთან ურთიერთთანამშრომლობა, რაც გულისხმობს იმას რომ ადვოკატები არ უსმენენ თავიანთ კლიენტებს, არამედ ვარაუდობენ მათ მიზნებს და შემდგომ უთითებენ თუ როგორ უნდა

---

[50] *Nolan-Haley J.,* Lawyers, Clients, and Mediation, 73 Notre Dame L. Rev. 1369 (1997), 1375.
[51] *იქვე*, 1383.
[52] *იქვე*, 1384.
[53] *იქვე.*
[54] American Bar Assosiation, Section Of Litigation, Ethical Guidelines For Settlement Negotiations, 2002, 7.

მოიქცნენ მედიაციის პროცესში, რასაც სამწუხაროდ, მედიაციის პროცესის ჩაშლამდე მივყავართ.[55]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა კლიენტის მიერ თავისი წარმომადგენლისთვის ინფორმაციის მიწოდებით იწყება, თუმცა აღნიშნულს წინ უსწრებს მათ შორის ნდობის ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანია ადვოკატმა მოიპოვოს კლიენტის ნდობა, რათა მთელი პროცესის განმავლობაში კლიენტს არ ჰქონდეს შიში იმისა, რომ მის მიერ ადვოკატისთვის განდობილი ინფორმაცია გამჟღავნებული ან მის საწინააღმდეგოდ გამოყენებული იქნება. ნდობა ურთიერთ-თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომელიც ამავდროულად მედიაციის პროცესში კონსულტაციის გაწევის არსებით პირობას წარმოადგენს.[56] ეთიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ადვოკატი უნდა იყოს ფრთხილად, რადგან თითქმის ყველა კლიენტი თავს დაუცველად გრძნობს, სწორედ ამიტომ თითოეული მათგანი დარწმუნებული უნდა იყოს რომ მათი ნდობა ბოროტად არ იქნება გამოყენებული.[57] ნდობის პრინციპი პირდაპირ კავშირშია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპთან. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს ისე რომ ეჭვქვეშ არ დააყენოს კლიენტის ნდობა.[58]

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლები სწორედ ნდობისა და კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულებაზე მიუთითებს: „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს.“ იგი უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას კლიენტის ინტერესების შესახებ, რათა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მეთოდები შეიმუშავოს.[59] კლიენტის ინტერესების შესწავლა სწორედაც რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თუ კლიენტს საკუთარი ინტერესის დაკმაყოფილება მხოლოდ სასამართლოსთვის მიმართვის გზით წარმოუდგენია, გამოდის რომ მედიაციის საშუალებით დავის გადაწყვეტა მისთვის შესაფერი არ არის.[60]

---

[55] *ხარებავა გ.,* „ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე“, თბილისი, 2018, გვ.9, იხ. Nolan-Haley J., Lawyers, Clients, and Mediation, 73 Notre Dame L. Rev. 1369 (1997), 1381.

[56] *ხარებავა გ.,* „ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე“, თბილისი, 2018, 10.

[57] *იქვე,* 11.

[58] *გასიტაშვილი ე., ხუბულური თ., ბოჭორიშვილი კ., კვაჭანტირაძე დ.,* ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013წწ., თბილისი, 2013, 47.

[59] *იქვე.*

[60] *გურიელი ა.,* ადვოკატის როლი სამოქალაქო სამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში, წელიწდეული, 2016, 127.

როგორც უკვე აღინიშნა, კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა იწყება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ადვოკატის მიერ კლიენტის ნდობის მოპოვებით. თუმცა საინტერესოა, რა ხდება მაშინ როდესაც სოციალურ ქსელში კლიენტის განთავსებულ კითხვას ადვოკატი საკუთარი ნებით პასუხობს? მიუხედავად იმისა რო ადვოკატთა ეთიკის კომისიას ასეთი საქმე არ განუხილავს, მან მაინც იმსჯელა ამ საკითხზე რეკომენდაციის გაცემისას. ზოგადად, კომისიის რეკომენდაციას სავალდებულო ხასიათი არ აქვს, თუმცა ეთიკის კომისიამ თავის რეკომენდაციაში მიუთითა, რომ სოციალურ ქსელში სამართლებრივი შეკითხვის განთავსებით ავტორს მოლოდინი აქვს რომ მიიღებს კვალიფიციურ პასუხს. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეკითხვა არ არის მიმართული კონკრეტულად რომელიმე ადვოკატის მიმართ, ადვოკატი არ არის გათავისუფლებული თავისი პროფესიული სტანდარტების დაცვისაგან. ეთიკის კომისიამ მიუთითა რომ ადვოკატი კითხვაზე პასუხის გაცემით ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას, შესაბამისად სწორედ კონსულტაციის გაწევით იწყება ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა და ვალდებულება იმოქმედოს ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.[61]

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობაში ძალიან მნიშვნელოვანია კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.“ ადვოკატი ვალდებულია, რომ იმოქმედოს კლიენტის მითითებების შესაბამისად. თუმცა საკითხავია, როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი მაშინ როდესაც კლიენტის მითითება უკანონოა და შესაძლოა მისმა შესრულებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მის ინტერესებს? ეთიკის კომისიის რეკომენდაციით, კლიენტის მითითების შესრულება ადვოკატის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს, თუ კი სახეზე არ არის ამ მითითების შეუსრულებლობის საფუძველი. თუმცა ასეთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც კლიენტი იღებს.[62] ეთიკის კომისიის პრაქტიკის შესაბამისად დადგენილია კეთილსინდისიერი და პროფესიონალური მომსახურების კომპონენტები. ადვოკატი ვალდებულია მიაწოდოს კლიენტს ყველანაირი ინფორმაცია, გაითვალისწინოს მისი რჩევები, შეუთანხმოს მოქმედების სტრატეგია და ყველა ის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა კლიენტის ინტერესებზე

[61] *გასიტაშვილი ე., ხუბულური თ., ბოჭორიშვილი კ., კვაჭანტირაძე დ.,* ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013წწ., თბილისი, 2013, 71.
[62] *იქვე,* 79.

არსებითი გავლენა მოახდინოს. ადვოკატი უნდა იყოს კლიენტის ინტერესების მხოლოდ და მხოლოდ გამჟღერებელი.[63]

2.3.1. კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან მოქმედების მოვალეობა

ეთიკის წესები, რომლითაც იურისტები ხელმძღვანელობენ შექმნილია შეჯიბრებითობის სისტემაზე დაყრდნობით.[64] ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან მოქმედება, ეწინააღმდეგება მედიაციის არსს და, შესაძლოა, გარკვეულწილად უსამართლო შედეგის გამომწვევიც იყოს. კლიენტისადმი ერთგულება და მიმდევრობა (შეასრულოს მისი ყოველი მითითება) ეწინააღმდეგება და საფუძველს უთხრის ნდობის, კრეატიულობის, გახსნილობის, პრობლემის გადაწყვეტის საერთო მეთოდს, რომელიც მედიაციის საძირკველს წარმოადგენს.[65]

ერთი შეხედვით დავის გადაწყვეტის ამ ალტერნატიული საშუალების პროცესში, კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან მოქმედება, პრობლემას არ წარმოადგენს. ასეთ შემთხვევა სახეზეა, მაშინ როდესაც მხარის წარმომადგენელი მედიაციის მაგიდას თავისი ნება-სურვილით მიუჯდება. „ადვოკატის საფრთხე" მინიმუმამდე შეიძლება იქნეს დაყვანილი,"[66] თუ მხარეების წარმომადგენლებს გაცნობიერებული აქვთ მედიაციის არსი, მიზნები და უპირატესობა.[67] თუ ადვოკატს გაცნობიერებული არ აქვს მედიაციის რაობა და საჭიროება, მისთვის მიმართვა ყოველგვარ აზრს მოკლებულია. როდესაც მხარეს სასამართლო პროცესი არ აწყობს, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, დავის მოგვარება ორმხრივად სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებით მის საუკეთესო ინტერესად იქცევა. მედიაციის პროცესი სასამართლოსთან შედარებით, მეტად უზრუნველყოფს სამართლიანობის დაკმაკოფილებას სუბიექტური გაგებით, ვინაიდან სარგებლიანობა, რომელიც ორივე მხარისთვის უნდა არსებობდეს, თავისთავად მინიმალური დოზით მაინც აკმაყოფილებს მათ შინაგან

---

[63] *კვაჭანტირაძე დ.,* ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები - კეთილსინდისიერება და კვალიფიციურობა, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, 2014, 4.

[64]*კიმბერლი კ.კოვაკი,* ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ჭურჭელს (ტიკი–რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან) :იურისტის ეთიკის გარდაქმნა,რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა,წელიწდეული 2012, 144.

[65] *Wolski B.,* On Mediation,Legal Representatives and Advocates, U.N.S.W.L.J.,2015, 32.

[66] *ცერცვაძე გ.,* მედიაცია, თბილისი, 2012 , 333.

[67] *იქვე.*

მოთხოვნილებებს. ამიტომ, შესაძლოა, მედიაციის პროცესში, კლიენტის ინტერესებიდან მოქმედების მოვალეობა უკეთ რეალიზდეს.

თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ხანდახან კლიენტის საუკეთესო ინტერესები მიღწეულია მედიაციის პროცესში შეთანხმების მიღწევით, ხანდახან კი კლიენტის ინტერესები დაკმაყოფილებულია მედიაციის სასამართლო პროცესით ჩანაცვლებისას.[68]

ადვოკატის ურთიერთობა კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იწყება. სწორედ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, ადვოკატმა კლიენტს უნდა მისცეს რჩევა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, და წარმომადგენლობა სწორედ ამ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა გაუწიოს. ადვოკატს ეკისრება ვალდებულება დაიცვას კლიენტის ინტერესები პატიოსნად და უშიშრად მიუხედავად მესამე პირების ან მისი პირადი ინტერესებისა.[69]

უფრო რთული შემთხვევაა მაშინ როდესაც სასამართლო მოუწოდებს მხარეებს მიუსხდნენ მედიაციის მაგიდას. მედიაციის მიზნები კონფლიქტში მოდის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მნიშვნელოვან დებულებასთან „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.“[70] ამ შემთხვევაში, შესაძლოა კლიენტის საუკეთესო ინტერესს მეორე მხარესთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩენა წარმოადგენდეს. რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში ადვოკატმა? თუნდაც გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ კონფრონტაცია ძირს უთხრის მედიაციის პროცესს?

2.3.2. ადვოკატის მიერ დავის გადაწყვეტის ინიცირება მედიაციის გზით

მედიაციის გზით დავის გადაწყვეტის ინიცირება რამდენიმე სხვადასხვა საშუალებითაა შესაძლებელი. ესენია: “მხარეთა მოთხოვნით, ადვოკატის (წარმომადგენლის) ინიციატივით, სხვა იმ პირთა ინიციატივით, რომელთაც მხარეებთან საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ, სასამართლოს რეკომენდაციით, კონტრაქტში გათვალისწინებული პირობით.“[71] როგორც აღინიშნა, მედიაციის გზით დავის გადაწყვეტის ინიცირება შესაძლებელია

---

[68] *Wolski B.,* On Mediation, Legal Representatives and Advocates, UNSW Law Journal 5, 44.

[69] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია”, დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 15 აპრილი, 2006 თბილისი, მ. 8.

[70] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ,ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია”, 15 აპრილი, 2006, თბილისი.

[71] *გურიელი ა.,* ადვოკატის როლი სამოქალაქო სამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში, წელიწდეული, 2016, 128.

ადვოკატის მიერ. მაშინ, როდესაც კლიენტი მედიაციის პროცესში წარმოდგენილია ადვოკატით, სწორედ ადვოკატი წარმოადგენს იმ პიროვნებას, ვინც უნდა დაეხმაროს კლიენტს დავის გადაწყვეტის მეთოდების შემუშავებაში. აღნიშნული ფუნქციის სხვა პირის მიერ შეთავსება, შესაძლოა, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაში ჩარევად იქნეს მიჩნეული.[72] „მნიშვნელოვანია, აღინიშნოს რომ მედიაციის პროცესში ადვოკატის ჩართულობასთან მიმართებით არსებობს ე.წ. პარალელური წარმომადგენლობის (*Two-track Representation)* მიდგომა. ეს მოიაზრებს იმას, რომ ადვოკატებს შეუძლიათ პარალელურ რეჟიმში განახორციელონ შემდეგი ქმედებები: წარმოადგინონ კლიენტი დავის პროცესში და ამავდროულად აწარმოონ მოლაპარაკება მისი სახელით.“[73] ვინაიდან მედიაციის პროცესში მხარე საკუთარ ინტერესებს წარმომადგენელს ანდობს, ადვოკატს შეუძლია თავად შეაფასოს მედიაციის გზით დავის გადაწყვეტის შემთხვევაში დამდგარი შედეგების მხარის ინტერესებზე მოქმედება. იმ შემთხვევაში თუ მედიაციის გზით დავის გადაწყვეტა კარგად აისახება მხარის ინტერესებზე ადვოკატი უფლებამოსილია გამოავლინოს ინიციატივა, უბიძგოს მხარეს და მისცეს მიმართულება მედიაციის გზით დავის გადაწყვეტაზე.

[72] *გურიელი ა.,* ადვოკატის როლი სამოქალაქო სამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში, წელიწდეული, 2016, 128.
[73] *იქვე,* 129.

3. ადვოკატ-წარმომადგენლისთვის დადგენილი ეთიკის ზოგადი ნორმები და ვალდებულებათა შინაარსი

პრაქტიკაში ადვოკატის როლი მუდმივად იცვლება, იგი გვევლინება ნეიტრალური მესამე პირისა და იურიდიული წარმომადგენლის სახით. თუმცა განურჩევლად ადვოკატის როლისა, აუცილებელია სამართლიანობის უზოგადესი წესებისა და კრიტერიუმების დაცვა. [74] ყველაზე ეფექტური ადვოკატები ერთმანეთისგან საკუთარ ხედვებსა და კლიენტის მიზნებსა და სურვილებს მიჯნავენ და სწორედ ამის შესაბამისად უწევენ კლიენტებს კონსულტაციას.[75]

ეთიკის სტანდარტის დადგენა მედიაციის პროცესში მონაწილე ყველა პირისთვის არის საჭირო, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იქნება პროცესში მონაწილე პირებისთვის შესაფერისი ქცევა. მნიშვნელოვანია ეთიკის სტანდარტების დადგენა მხარისა და მისი წარმომადგენლისთვის, ვინაიდან ისინი მედიაციის პროცესში აქტიურ როლს თამაშობენ. [76]

ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესები შესაძლოა გასცდეს ტრადიციულ მითითებებს, რათა დავის ერთი „ამოსუნთქვით" მოგვარება წაახალისოს.[77] ეთიკა მედიაციაში უნდა იყოს დაფუძნებული მკვეთრ დინამიკაზე, რომელიც მას, როგორც პრაქტიკას ახასიათებს, იგი დაფუძნებულია განსხვავებულ სტილზე და მეთოდებზე, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ როგორც მხარის წარმომადგენელი ადვოკატებისთვის, ისე მედიატორებისთვის.[78]

მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტების პრეამბულა ითვალისწინებს ადვოკატის ვალდებულებას იყოს ორიენტირებული კლიენტისთვის სასარგებლო შედეგის მიღწევაზე და მაქსიმალურად დაიცვას კლიენტის ინტერესები.[79]

აღსანიშნავია, რომ ადვოკატ-წარმომადგენელმა მედიაციის პროცესის დაწყებამდე მხარესთან მნიშვნელოვანი კონტაქტი უნდა დაამყაროს, რაც გულისხმობს იმას რომ მან უნდა აცნობოს და შესთავაზოს მხარეს დავის გადაწყვეტის ყველა შესაძლო ვარიანტი, მათ შორის ალტერნატიული საშუალებები. თუმცა აღნიშნული არ უნდა შემოისაზღვროს მხარისთვის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით, ადვოკატმა კლიენტთან უნდა

---

[74] *ჩიტაშვილი ნ.,* ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, სამართლის ჟურნალი N2, ირაკლი ბურდულის რედაქტორობით, 2016, 39.

[75] *Roth, B., J.,* Ethical Considerations for Advocates in Mediation, Boston, 2005, 8.

[76] *ჩიტაშვილი ნ.,* „მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები", სამართლის ჟურნალი N1, 2016, 37-38, იხ.: *Kovach K.K.*, Mediation, Principles and Practice, 3rd ed., Thomson West, United States of America, 2004, 424.

[77] *Hughes P.,* Ethics in Mediation: Which rules? Whose rules?, Berlin, 2001, 252.

[78] *იქვე,* 260.

[79] *ჩიტაშვილი ნ.,* „მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები", სამართლის ჟურნალი N1, 2016, 38.

შეათანხმოს როგორც მოლაპარაკების სტრატეგია ისე დავის გადაწყვეტის ალტერნატივები. [80]

მოლაპარაკებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება განეკუთვნება კლიენტს, შესაბამისად ადვოკატმა კლიენტის ნებართვის გარეშე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინიციატივა არ უნდა გამოიჩინოს.[81]

ადვოკატმა გონივრულობის ფარგლებში უნდა გაიაროს კონსულტაცია კლიენტთან, მოლაპარაკებების წარმოების ხერხებთან დაკავშირებით, მათ შორის იმის შესახებ თუ როგორ უნდა წარმოადგინონ ან გამოითხოვონ კონკრეტული მასალები. დამოუკიდებლობის ხარისხი, რომლის ფარგლებშიც ადვოკატი აწარმოებს მოლაპარაკების პროცესს უნდა ასახავდეს კლიენტის იმ კონკრეტულ სურვილებს, რომლებიც მან ადვოკატთან შეათანხმა და განიხილა.[82] სავსებით შესაძლებელია, რომ ადვოკატი და კლიენტი არ დაეთანხმნონ ერთმანეთს იმ საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც კლიენტის მიზნების მისაღწევად უნდა იქნეს გამოყენებული, თუმცა როგორც წესი საბოლოოდ კლიენტები ზემოთხსენებულ ხერხებთან დაკავშირებით, მათ შორის ტექნიკური, სამართლებრივი და ტაქტიკური კითხვების გადასაჭრელად, თავიანთი ადვოკატის სპეციალურ ცოდნასა და უნარებს ეყრდნობიან.[83]

მაშინ როდესაც ადვოკატმა ყოველთვის უნდა შეინარჩუნოს თავისუფლება უარი თქვას ისეთი ნაბიჯის გადადგმაზე, რომელიც მის ეთიკურ ვალდებულებებს დაარღვევს, და მაშინ როდესაც ხანდახან შესაძლოა იგი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს რომ პოზიციების გაცხადება კლიენტთან კონსულტაციის გარეშე მოუწიოს, კლიენტს ყოველთვის უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განსაზღვროს ის თუ უფლებამოსილების რა ფარგლები მიანიჭოს ადვოკატს, და შესაბამისად ადვოკატმაც ამ მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უნდა იმოქმედოს.[84] ადვოკატმა უნდა წარუდგინოს კლიენტს პროფესიონალური შეფასება შეთავაზებული მოლაპარაკების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, რათა კლიენტი სრულად იყოს ინფორმირებული შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით და შეძლოს სწორი გადაწყვეტილების მიღება.[85]

---

[80] *იქვე,* 38-39.
[81] American Bar Assosiation, Section Of Litigation, Ethical Guidelines For Settlement Negotiations, 2002, 8.
[82] American Bar Assosiation, Section Of Litigation, Ethical Guidelines For Settlement Negotiations, 2002, 9.
[83] *იქვე,* 10.
[84] *იქვე,* 11.
[85] *იქვე,* 17.

ადვოკატები განსაკუთრებით დგანან იმ რისკის ქვეშ რომ კლიენტები მათზე დამოკიდებულნი გახდნენ, რამაც შესაძლოა კლიენტის ნებაზე გავლენის განპირობება გამოიწვიოს. ადვოკატმა არ უნდა აიძულოს კლიენტს ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც გამოიწვევს შეთავაზებული მოლაპარაკებების ხერხებთან დაკავშირებით ადვოკატის პოზიციაზე დათანხმებას.[86]

აღსანიშვნავია, რომ ადვოკატი არ შეიძლება წარმოადგენდეს მხარეს, თუ იგი აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით უკვე მონაწილეობდა არბიტრის, მოსამართლის, მედიატორის ან სხვა მესამე პირის სტატუსით, თუმცა აღნიშნული დანაწესი შესაძლოა დარღვეულ იქნას იმ შემთხვევაში თუკი ორივე მხარე წერილობით თანხმობას განაცხადებს ადვოკატის წარმომადგენლად მონაწილეობის შესახებ(პროფესიული ქცევის მოდელური წესები 1.12(ა) პუნქტი). აღნიშნული გამონაკლისის არსს წარმოადგენს ის რომ შესაძლოა ადვოკატი წარსულში ამ საქმესთან დაკავშირებით მხოლოდ ადმინისტრირებით იყო დაკავებული და საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობა რეალურად არ მიუღია.[87]

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის პროცესში ადვოკატი ვალდებულია არ წარმოადგინოს პირი მისი თანხმობის გარეშე ადრე მონაწილე მხარის წინააღმდეგ, აგრეთვე ისეთ პროცესზე სადაც მედიატორისთვის ცნობილი გახდა კონფიდენციალური შინაარსის მქონე გარემოებები.[88]

ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული პასუხისმგებლობის წესი 2.1-ში აღნიშნულია რომ მხარე უნდა იყოს ინფორმირებული ადვოკატის მხრიდან დავის გადაწყვეტის იმ ფორმის შესახებ, რომელმაც შესაძლოა სასამართლო ჩაანაცვლოს და მის ალტერნატივად მოგვევლინოს.[89]

მედიაციის პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს იკავებს ადვოკატის მიერ მხარისთვის მომსახურების ტარიფის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თუმცა შესაძლებელია ადვოკატმა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გაუწიოს მხარეს მომსახურება. აღსანიშნავია, რომ ადვოკატის პროცესში

---

[86] *იქვე,* 18.

[87] *ჩიტაშვილი ნ.,* ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, სამართლის ჟურნალი N2, ირაკლი ბურდულის რედაქტორობით, 2016, 44.

[88] *ჩიტაშვილი ნ.,* „მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები“, სამართლის ჟურნალი N1, 2016, 41.

[89] *იქვე,* 39.

ჩართვამდე ან გონივრულ ვადაში მხარეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მომსახურების ტარიფის შესახებ.[90]

ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია მაგალითის სახით მოვიყვანოთ ავსტრიის მედიატორთა ქცევის კოდექსი რომლის მიხედვითაც „მედიაცია შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მისი ყველა მონაწილისგან მედიატორის ანაზღაურების, კრიტერიუმებსა და ტარიფებზე თანხმობის მოპოვების შემდეგ.“[91]

[90] *ჩიტაშვილი ნ.*, ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, სამართლის ჟურნალი N2, ირაკლი ბურდულის რედაქტორობით, 2016, 46.
[91] *იქვე.*

4. ადვოკატ-წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესის სხვა მონაწილე პირების მიმართ

ადვოკატს მედიაციის პროცესში პირველ რიგში, რა თქმა უნდა აკისრია რიგი ვალდებულებები მისი კლიენტის მიმართ. თუმცა კლიენტის მიმართ არსებული ვალდებულებების გარდა, იგი პასუხისმგებელია მედიაციის პროცესის სხვა მონაწილე პირების მიმართაც.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატებს აკისრიათ კეთილსინდისიერების, სამართლიანობის და თავაზიანობის ვალდებულება მესამე პირების, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარის მიმართ.[92]

ერთ-ერთი საკითხს რომელმაც განხილვა და კამათი გამოიწვია ინტერესთა კონფლიქტი წარმოადგენდა. მაშინ როდესაც ადვოკატთა წესები ინტერესთა კონფლიქტის შესახებ გულისხმიერებისა და კონფიდენციალურობის დაცვას მოიაზრებენ, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებში დამკვიდრებული ზოგადი წესები შესაძლოა სხვა მიზნებს ემსახურებოდეს. თუ არ არსებობს წარმომადგენლობა, არ არსებობს კლიენტის გულისხმიერების პრინციპიც.[93]

ეთიკის სახელმძღვანელოების შესაბამისად, ადვოკატები თავისუფლები არიან მესამე პირისთვის მოლაპარაკებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნებაში, მანამ სანამ ეს არ აიკრძალება კანონით, წესებით ან შეთანხმებით. თუმცა, ზოგიერთ იურისდიქციაში მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია შეთანხმების ან კანონის საფუძველზე, შესაბამისად ადვოკატებს არ აქვთ უფლება განიხილონ სხვებთან მედიაციის პროცესის მიმდინარეობა.[94]

ადვოკატებისთვის დადგენილი ზოგადი სტანდარტით, ისინი ვალდებულნი არიან პირველ რიგში იმოქმედონ თავიანთი კლიენტის ინტერესების შესაბამისად. მათ აგრეთვე ევალებათ იყვნენ კლიენტის მიმართ ერთგულები. ადვოკატი რომელიც უძღვება კონკრეტულ საქმეს, არავის მხარეს არ უნდა იცავდეს, გარდა კლიენტისა და იგი უნდა ეცადოს თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი მასსა და კლიენტს, აგრეთვე კლიენტებს შორის. ადვოკატი უნდა დაეხმაროს კლიენტს, შესაბამისი საკითხების და კლიენტის უფლებებისა და ვალდებულებების გააზრებაში. სადავო საკითხრის არსებობის შემთხვევაში ადვოკატებს ეკისრებათ სპეციფიკური

---

[92] *Wolski B.,* On Mediation, Legal Representatives and Advocates, UNSW Law Journal 5, 18.

[93] *Menkel-Meadow C.,* Ethics in Alterative Dispute Resolution: New Issues, No Answers from the Adversary Conception of Lawyers' Responsibilities, Georgetown, 1997, 432.

[94] *Roth, B., J.,* Ethical Considerations for Advocates in Mediation, Boston, 2005, 5.

ვალდებულება განიხილონ შეთანხმება და გააცნონ კლიენტს ის ალტერნატივები რომლებიც მათი აზრით კლიენტისთვის გონივრულია.[95]

4.1. კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება მედიაციის პროცესში

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ კეთილსინდისიერად მოქცევის ვალდებულება მედიაციის პროცესში უნდა რეგულირდებოდეს რაიმე წესით ან სტატუტით. საინტერესოა, თუ კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება მოთხოვნილი ან დარეგულირებული იქნებოდა, როგორი იქნებოდა კეთილსინდისიერების განმარტება? მაგალითად, იქნებოდნენ ადვოკატები და მხარეები ვალდებულნი შეეცვალათ მოლაპარაკებების თავისებური სტილი რათა მორგებოდნენ ამ მოთხოვნებს თუ არა?

მიუხედავად იმისა რომ ადვოკატები ვალდებულნი არიან არ გამოიყენონ სასამართლოსთვის დამახასიათებელი ტაქტიკა მედიაციის პროცესში, თუ ადვოკატი მიიჩნევს რომ მედიაცია მიაახლოვებს მხარეებს დავის დარეგულირებასთან, მას შეუძლია კეთილსიდისიერად ურჩიოს მხარეებს მედიაცია.

მედიაციის პროცესში ადვოკატმა პროცესის შესახებ ყველაფერი უნდა იცოდეს, იგი მზად უნდა იყოს კლიენტს ყველაფერი აუხსნას, განსაკუთრებით მაშინ როდესაც კლიენტისთვის მედიაცია უცხოა. ადვოკატი უნდა დაეხმაროს კლიენტს მისი მიზნების განსაზღვრასა და ამ მიზნების განხორციელებისთვის შესაფერისი გუნდის შერჩევაში. ადვოკატმა უნდა იცოდეს ყველა ნიუანსი, რაც საჭიროა მოლაპარაკებების წარმოებისთვის. [96]

პროფესიული ქცევის წესები ადვოკატებისთვის მედიაციის პროცესში კეთილსინდისიერად მოქმედების აშკარა ვალდებულებას არ აწესებს, თუმცა ადვოკატები მათთვის დადგენილი ზოგადი მოვალეობებით ჯერ კიდევ ვალდებულნი არიან თავი შეიკავონ ისეთი ქცევისგან, რომელიც მათ პროფესიას საეჭვო რეპუტაციამდე მიიყვანს. კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება არ მოითხოვს მხარისგან საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ და სხვა მხარის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებას, ინფორმაციის სრულ გამჟღავნებას, მხარის ინტერესებისა და მოლაპარაკების მიზნების გამოაშკარავებას.

ადვოკატებს, მედიაციის პროცესში, მოწინააღმდეგის მიმართ, საქმესთან დაკავშირებით, გაზნრახ ცრუ განცხადებების გაკეთება ეკრძალებათ. მოცემული დებულება მედიაციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში ადვოკატებს არ აქვთ ვალდებულება

[95] *Wolski B.,* On Mediation, Legal Representatives and Advocates, UNSW Law Journal 5, 14.
[96] *Wolski B.,* On Mediation, Legal Representatives and Advocates, UNSW Law Journal 5, 11.

შეასწორონ ის მცდარი განცხადება, რომელიც კლიენტის საქმის შესახებ იქნა გაკეთებული.[97]

აღსანიშნავია, რომ ადვოკატი უნდა იყოს მიუკერძოებელი და მისი დაუფიქრებელი ქცევით მხარეს მიკერძოების შთაბეჭდილება და საშიშროება არ უნდა შექმნას, სწორედ აქედან გამომდინარეა რომ ადვოკატი დავის გადაწყვეტაში მონაწილეობისას არ უნდა შევიდეს რაიმე სახის ურთიერთობაში რომელიმე მხარესთან ან წარმომადგენელთან.[98] ასეთ ურთიერთობებში შესვლა, შესაძლოა მხარისთვის სამომავლო ურთიერთობის ან კონკრეტული ინტერესის გავლენის ქვეშ მოქცევად იქნეს აღქმული.[99]

4.2. მოწინააღმდეგე მხარის მიმართ არსებული ვალდებულებები

ადვოკატებს თავიანთი მოწინააღმდეგე მხარის მიმართ აკისრიათ სამართლიანობისა და თავაზიანობის მოვალეობები. სამართლიანობის კონცეფცია გამოიყენება როგორც მედიაციის პროცესის, ისე მისი შედეგების მიმართ. ადვოკატი არ არის ვალდებული უზრუნველყოს, მოწინააღმდეგე მხარისთვის მედიაციის შედეგის სამართლიანობა, მაშინაც კი, თუ მათი მოწინააღმდეგე მხარე მედიაციის პროცესში არ არის წარმოდგენილი ადვოკატით. ამასთან, ადვოკატი მთელი პროცესის განმავლობაში უნდა იყოს ფხიზლად, რათა დარწმუნდეს რომ შეთანხმება არ არის მიღწეული არაკეთილსინდისიერების, მოტყუების, თაღლითობის ან იძულების საფუძველზე.[100]

პროფესიული ქცევის წესის შესაბამისად ადვოკატებს არ მოეთხოვებათ მოწინააღმდეგე მხარესთან თანამშრომლობა. თუმცა, ასეთი ვალდებულება შესაძლოა კონკრეტული კანონმდებლობით ან შეთანხმებით დაწესდეს. თანამშრომლობის ვალდებულება არ გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარისთვის დახმარებას. საწყის ეტაპზე არ არის სავალდებულო რომ ადვოკატმა მოწინააღმდეგის საქმეში სისუსტეები გამოკვეთოს, რადგან ეს შესაძლოა წინაპირობა გახდეს იმისა რომ მოწინააღმდეგე მხარე მედიაციის პროცესისთვის უკეთ მომზადებული მოვა. ასეთი ქმედება ადვოკატის მხრიდან კლიენტის წინაშე აღებული ვალდებულებების უხეშ დარღვევად იქნება აღქმული.[101]

---

[97] *იქვე.*

[98] *ჩიტაშვილი ნ.,* ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, სამართლის ჟურნალი N2, ირაკლი ბურდულის რედაქტორობით, 2016, 43.

[99] *იქვე,* 44.

[100] *Wolski B.,* On Mediation, Legal Representatives and Advocates, UNSW Law Journal 5, 20.

[101] *იქვე,* 23.

4.3. სასამართლო და მართლმსაჯულების სისტემის წინაშე არსებული ვალდებულებები

ზოგადი მოვალეობა, რომელიც ადვოკატებს მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის წინაშე გააჩნიათ არის ის რომ მათ პატივი უნდა სცენ და დაემორჩილონ კანონს, მათ შორის მათი პროფესიისთვის დადგენილ ქცევის წესებს. ადვოკატები ხელს არ უნდა უწყობდნენ ისეთი ქმედებების განხორციელებაას, რომელიც უკანონოდ, არაკეთილსიდისიერად ან სხვაგვარად არღვევს მართლმსაჯულების პრინციპებს და ადვოკატის პროფესია საეჭვო რეპუტაციამდე მიჰყავს. თუმცა მედიაციაში ვხვდებით რამდენიმე გზას, რითაც დადგენილი წესები ირღვევა. მაგალითად, ადვოკატი არღვევს პროფესიული ქცევისთვის დადგენილ სტანდარტს მაშინ, როდესაც ის არაკეთილსინდისიერად იქცევა მოწინააღმდეგე მხარის მიმართ. როგორც უკვე აღვნიშნე ადვოკატი პირველ რიგში კეთილსიდისიერად უნდა იქცეოდეს მართლმსაჯულების ორგანოს მიმართ. მან არ უნდა მოატყუოს, შეგნებულად ან დაუფიქრებლად შეცდომაში შეიყვანოს სასამართლო. მან სწრაფად უნდა შეასწოროს ის განცხადება, რომელიც შეცდომით იქნა გაკეთებული. [102]

ხშირ შემთხვევაში მედიაციის დროს მიღწეული შეთანხმებები სასამართლოზე წარმოდგენილი უნდა იყოს მის დასადასტურებლად ან იმ თანხმობის მისაღებად რომ დავა დაწყებულია და მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას. თუ ადვოკატი სასამართლოს წარუდგენს ისეთ შეთანხმებას, რომელიც რეალურად მხარეთა მიერ მიღწეული არ არის, მაშინ ადვოკატს სასამართლო შეცდომაში შეჰყავს.

ადვოკატის კიდევ ერთ ვალდებულებას წარმოადგენს სასამართლოს წინაშე გულწრფელობა: ადვოკატი ვალდებულია შეატყობინოს სასამართლოს ნებისმიერი დებულება რომელიც მისთვის ცნობილია, თუმცა იმ შემთხვევაში თუ სასამართლოში იმყოფება ერთი მოწინააღმდეგე მაინც ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს და გააჟღეროს ისეთი ფაქტები, რომლებიც მისი კლიენტის ინტერესებს ეწინააღმდეგება.[103]

ადვოკატებს მართლმსაჯულების სისტემასა და სასამართლოს წინაშე სხვა სპეციფიკური მოვალეობებიც აკისრიათ. მაგალითად, მათ უნდა უზრუნველყონ სამართალწარმოების ეფექტურად განხორციელება და პასუხისმგებლობით მოეკიდონ სასამართლო პროცესს. თუ ადვოკატი არ დააკმაყოფილებს სასამართლოს ბრძანებას მედიაციაში მონაწილეობის შესახებ, ის უხეშად არღვევს მისი პროფესიისთვის დადგენილ წესს. მაგალითად, საქმეში *Hopeshore Pty Ltd v Melroad Equipment Pty Ltd*

---

[102] *Wolski B.,* On Mediation, Legal Representatives and Advocates, UNSW Law Journal 5, 14.
[103] *იქვე,* 15.

სასამართლომ დაადგინა რომ წარმომადგენელი მოქმედებდა მისი საქმიანობისთვის შეუფერებლად, რადგან იგი არ ეხმარებოდა კლიენტს მედიაციის პროცესში.[104]

საბოლოოდ, ადვოკატის სამართლებრივი ვალდებულება მედიაციაში შესაძლოა შემდეგნაირად შეჯამდეს:

1. ადვოკატმა შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს ან მოატყუოს მედიატორი ან მოწინააღმდეგე მხარე (ან რომელიმე სხვა მხარე, რომელიც ჩართულია მედიაციის პროცესში).
2. ადვოკატი შესაძლოა იყოს ვალდებული განუმარტოს გარკვეული დებულებები მედიატორს. ამგვარი განმარტებების აარარსებობის შემთხვევაში ადვოკატი უფლებამოსილია განიხილოს ეს დებულებები მედიატორთან განცალკევებულ შეხვედრაზე.
3. როგორც წესი, ადვოკატი ვალდებული არ არის დაემორჩილოს მოწინააღმდეგე მხარეს.
4. არ არსებობს რომელიმე მოწინააღმდეგის მიმართ რაიმე ფორმით დახმარების ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხება თანამშრომლობის ვალდებულებას.
5. ადვოკატმა უნდა ითანამშრომლოს მედიატორთან და მოწინააღმდეგე მხარესთან, მინიმუმ იმისთვის რომ მისდიოს მედიატორის მიერ მედიაციის პროცესში გაცემულ გონივრულ მითითებებს.[105]
6. ზემოთჩამოთვლილი ნიშნები წარმოადგენს ადვოკატისთვის დადგენილ მინიმალურ სამართლებრივ ვალდებულებებს მედიაციის პროცესში.

[104] *იქვე.*
[105] *იქვე,* 24.

5. საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედება და მისი ეფექტურობა

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მიზანს წარმოადგენს ქცევის შესაბამისი სტანდარების დამკვიდრება, ადვოკატის ვალდებულება იზრუნოს მისი პროფესიისადმი ნდობის მოპოვებისთვის.[106]

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 1-ლი მუხლის შესაბამისად „ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.“[107]

ადვოკატის საქმიანობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს სწორედ მისი დამოუკიდებლობა წარმოადგენს, რომელიც გარანტირებულია „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით.“ გაეროს შემუშავებული აქვს პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, რომლის მიხედვითაც ადვოკატი დამოუკიდებელი და თავისუფალია თავის საქმიანობაში და იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ საერთაშორისო ნორმების, კანონისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების შესაბამისად,[108] ამასთან მან უნდა იმოქმედოს ღირსეულად და თავისუფლად, კანონისა და პროფესიული მოვალეობების, ეთიკის წესების მიხედვით.[109]

საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ 38-ე მუხლში მიუთითებს ადვოკატის დაცვის გარანტიებზე, რომლის მიხედვითაც დაცულია როგორც კლიენტის ისე ადვოკატის ინტერესები. ამ კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია:“კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები; არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები; შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი განამტკიცებს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას. ამ მუხლის პირველი

---

[106] *გასიტაშვილი ე., ხუბულური თ., ბოჭორიშვილი კ., კვაჭანტირაძე დ.,* ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013წწ., თბილისი, 2013, 47.

[107]ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია”, დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 15 აპრილი, 2006 თბილისი, მ. 1-ლი.

[108] *კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძახია ი.;* ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით; თბილისი, 2011, 5.

[109] *იქვე,* იხ.: გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ. მუხლი 14.

ნაწილის მიხედვით, ის ინფორმაცია რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, საიდუმოა და ადვოკატი ვალდებულია დაიცვას ეს ინფორმაცია, ისე რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეთ. ამასთან აღსანიშნავია რომ კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის ვალდებულება დროში შეზღუდული არ არის. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს ასეთი ინფორმაცია კლიენტის წინააღმდეგ, ან მესამე პირების სასარგებლოდ. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კლიენტი თანხმობას განაცხადებს, და თუ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია კლიენტის ინტერესებისთვის.[110] მედიაციის კონტექსტში, კონფიდენციალურობა გულისხმობს იმ ინფორმაციის საიდუმლოობას, რომელიც კონფიდენციალური უნდა იყოს როგორც მხარეებს, ისე მხარეებსა და მედიატორს შორის. [111]

მედიატორი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს ყველა ის ინფორმაცია რომელიც დაკავშირებულია მედიაციის პროცესთან. ეს მოიცავს მხარეების ან მედიატორის მიერ გაკეთებულ ნებისმიერ განცხადებას, წინადადებასა თუ ნებართვას.[112] კონფიდენციალურობის მიზანს წარმოადგენს ისეთი პირობების შექმნა, სადაც მხარეები და ადვოკატები ღიად შეძლებენ ყველა ფაქტისა და კითხვის განხილვას, იმის შიშის გარეშე რომ მათი ნათქვამი შესაძლოა მათ წინააღმდეგ იქნას გამოყენებული.[113]

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი განამტკიცებს კლიენტის ინტერესების უპირატესობის დაცვის პრინციპს და მიუთითებს რომ ადვოკატი ვალდებულია მოქმედებდეს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. კლიენტის ინტერესები უნდა იდგეს საკუთარი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა, თუმცა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება ბუნებრივია შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს კანონმდებლობასთან და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსთან.[114]

მე-6 მუხლის შესაბამისად,დაუშვებელია ინტერესთა კონფლიქტი. როგორც ნაშრომში უკვე აღინიშნა საერთაშორისო გამოცდილების მსგავსად

---

[110]ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია", დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 15 აპრილი, 2006 თბილისი, მ. 4.

[111] *Arthur, J., K.,* Confidentiality and privilege in mediation, Australian alternative dispute resolution bulletin, 2015, 91.

[112] *Henke E.-M.,* Confidentiality in the Model Law and the European Mediation Directive, Germany, 2009, 30.

[113] Fisher P., All you need to know about Mediation, but didn't know to ask- A parachute for parties in litigation, 2000, იხ.: https://www.mediate.com/articles/fisher2.cfm

[114] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია", დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 15 აპრილი, 2006 თბილისი, მ. 5.

საქართველოს კანონმდებლობაც მიუთითებს რომ ადვოკატს უფლება არ აქვს წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე, იმ შემთხვევაში თუ კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის საშიშროება.[115]

ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს წინაშე, ვალდებულია დაიცვას ამ სასამართლოში მოქმედი წესები.[116]

ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე პრინციპიდან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ადვოკატთა ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დადგენილი პრაქტიკა გარკვეული პრინციპების დარღვევასთან დაკავშირებით.

1. ადვოკატის დამოუკიდებლობა - ეთიკის კომისიის 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება

ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 იანვარს საქმეში N 001/10 მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა რომ სრულწლოვანმა ეჭვმიტანილმა საქმეში უარი განაცხადა სახაზინო ადვოკატის მომსახურებაზე, მან მაინც მიიღო საქმეში მონაწილეობა, რითაც ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა დისციპლინურ გადაცდომას. კომისიამ მიუთითა რომ ადვოკატმა თავისი ქმედებით დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 და მე-5 მუხლები, რომლითაც გათვალისწინებულია ნდობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი. კომისიამ აღნიშნა, რომ საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას ადვოკატმა არ განუმარტა დაცვის ქვეშ მყოფს თავისი უფლებები, მისი პოზიცია იყო არაეფექტური და იგი მოექცა პროკურორის გავლენის ქვეშ. სწორედ ამიტომ ადვოკატის ქმედებებში შეინიშნებოდა დამოუკიდებლობის პრინციპიდან გადახრა.[117]

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებულია კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. ამავე მუხლში აღნიშნულია, რომ ადვოკატმა უნდა იმოქმედოს მისი კლიენტის ინტერესების შესაბამისად და უნდა მოიპოვოს კლიენტის ნდობა.

---

[115] *იქვე,* მ. 6.
[116] *იქვე,* მ. 9.
[117] *იქვე,* 7, ეთიკის კომისიის 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება N 001/10.

2. ნდობის პრინციპი - ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე N 057/10 და 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N 015/10

ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით, დადგინდა რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ნდობის და ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი. ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ „ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართული კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ადვოკატმა უნდა გამოიყენოს ყველა გონივრული შესაძლებლობა კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით და უნდა მიიღოს მისგან უფლებამოსილება შემდგომი ქმედებებების განხორციელების თაობაზე. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მოწონებული კლიენტის მიერ. კლიენტი ენდობა ადვოკატს და ადვოკატმა უნდა გაამართლოს ეს ნდობა.“[118]

3. პროფესიული საიდუმლოება - ეთიკის კომისიის 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N 086/10

მოცემულ საქმეში, განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მისი და მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატები ერთ საადვოკატო ბიუროში მუშაობდნენ და მათ ერთმანეთში კონფიდენციალური ინფორმაცია გაცვალეს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, დადგინდა რომ კლიენტის პრეტენზია ადვოკატის მიმართ უსაფუძვლო იყო. ეთიკის კომისიამ მიუთითა რომ ადვოკატს გააჩნია კლიენტის ინტერესების დაცვისა და წარმომადგენლობის ვალდებულება განსაზღვრული ვადით. კლიენტის წამოყენებული პრეტენზია კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით არ დადასტურდა შესაბამისი მტკიცებულებებით და მხოლოდ იმაზე მითითება რომ ადვოკატები ერთ ბიუროში მუშაობდნენ აღნიშნული მითითების საფუძველი ვერ გახდება.[119]

მეორე საქმეზე 2011 წლის 9 სექტემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში, ეთიკის კომისიამ მიიჩნია რომ ადვოკატის მიერ კლიენტის მიმართ გაკეთებულ შეფასებებში დარღვეულია კონფიდენციალურობის პრინციპი,

---

[118] ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე N 057/10.

[119] *კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძახია ი.;* ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით; თბილისი, 2011, 13, იხ.: ეთიკის კომისიის 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N 086/10.

ვინაიდან ადვოკატს კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც უნარჩუნდება მის მიერ გამხელილი ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება.

4. კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა - 2011 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება N022/11

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი. ადვოკატმა კლიენტის სახელით გააკეთა განცხადება და მიიღო გადაწყვეტილება ისე საქმის შეწყვეტის თაობაზე ისე რომ დაზიანდა კლიენტის ინტერესები. ეთიკის კომისიამ განმარტა რომ ადვოკატის მიერ საქმის წარმოებისას კლიენტი საქმესთან დაკავშირებით არსებით გადაწყვეტილებებს უნდა თავად უნდა იღებდეს. ადვოკატის მიერ კლიენტისთვის მიცემული რჩევა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს მისი ინტერესების დაცვას. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში კომისიამ მიუთითა რომ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს კლიენტს რადგან მესამე პირებისთვის ადვოკატის მიერ გამოხატული განცხადებები კლიენტის ნების გამოხატულებად აღიქმება. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოცემულ გადაწყვეტილებაში არსებობდა საქმიანი ურთიერთობა ადვოკატსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის, სწორედ აქედან გამომდინარე ადვოკატმა საკუთარი კლიენტის ინტერესების მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებზე დაბლა დააყენა და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა რაც უშუალოდ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესს წარმოადგენდა.[120]

[120] სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება საქმე N 022/11.

6. საერთაშორისო გამოცდილება ადვოკატთა ეთიკის სტანდარტთან დაკავშირებით

დღესდღეისობით, მსოფლიოში სამოქალაქო დავების უმეტესი ნაწილი მედიაციის საშუალებით წყდება, და ეს უკანასკნელი დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებიდან საუკეთესოდ მიიჩნევა.[121] მედიაციის პოპულარობასთან ერთად, ბუნებრივია, იზრდება მოთხოვნები პროცესში მონაწილე პირების ეთიკურ ვალდებულებებთან დაკავშირებით. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში უნდა გასცდეს „ადვოკატობის" ტიპურ გაგებას, რადგან მან უნდა დაარწმუნოს კლიენტი იმაში, რომ პროცესი თავისი ბუნებით სამართლიანია და სრულად შეესაბამება ყველა მონაწილის მიზანს.[122]

სხვადასხვა იურისდიქციაში, მათ შორის საქართველოშიც დგას საკითხი იმის შესახებ: უნდა იხელმძღვანელონ ადვოკატებმა თუ არა ეთიკური წესებითა და სტანდარტებით, რათა მედიაციის პროცესში იმოქმედონ განსხვავებულად, და არა მსგავსად იმისა, როგორც მოქმედებენ მაშინ, როდესაც კლიენტებს სასამართლოში ან არბიტრაჟში წარმოადგენენ; ალტერნატიულ შემთხვევებში უნდა ჰქონდეთ თუ არა კლიენტებს მოლოდინი იმისა, რომ მედიაციის პროცესში მათი ადვოკატები მათ გულმოდგინედ, ინტერესების მაქსიმალურად მიღწევის მიზნით წარმოადგენენ? და არის თუ არა მედიაცია სხვა შეჯიბრებითი პროცედურა, რომელსაც სჭირდება იგივე მიდგომა, რაც სასამართლოს? [123]

ზემოაღნიშნული საკითხების დასარეგულირებლად, მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატებისთვის, სხვადასხვა ქვეყნის სახელმძღვანელოები თუ ეთიკის კოდექსები განსხვავებულ ეთიკურ სტანდარტებს ითვლისწინებენ. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა, ზოგიერთი მათგანი კი - მბოჭავი. საკითხავია, განსხვავდება თუ არა მედიაციის პროცესში ადვოკატისთვის დადგენილი ქცევის წესები და ეთიკური ვალდებულებები დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებში დადგენილი წესებისგან?

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით ადვოკატზე კლიენტის წარმომადგენლობის დროს ვრცელდება მისთვის დადგენილი ზოგადი ეთიკის ნორმები. მაგალითად, ევროგაერთიანების ადვოკატთა კოდექსის შესაბამისად, ადვოკატი ყოველთვის უნდა ცდილობდეს რომ კლიენტს

---

[121] *Sherill, J.,* A. Ethics for lawyers representing clients in mediations, http://www.americanjournalofmediation.com/docs/JOHN%20SHERRILL%20-Ethics%20for%20Lawyers%20Representing%20Clients%20in%20Mediation.pdf

[122] *იქვე.*

[123] *იქვე,* 2.

ურჩიოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები და „მიაღწიოს კლიენტის დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას“.[124]

ადვოკატისთვის, როგორც ნეიტრალური მესამე პირისთვის, ეთიკის კომისიამ 2002 წელს შეიმუშავა მოდელური ქცევის სპეციალური წესები. თუმცა აღნიშნული მოდელური წესები ვრცელდება მხოლოდ ნეიტრალური მესამე პირის სტატუსით მონაწილე ადვოკატზე, შესაბამისად მოცემული მოდელური წესების ანალიზი მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ის განსაზღვრავს ადვოკატ-მედიატორისთვის დადგენილ ეთიკურ სტანდარტებსა და მახასიათებლებს. [125]

შეჯიბრებითობის სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ნებადართულია მეტოქეობაზე დაფუძნებული და არაკეთილსინდისიერი ქცევა. ადვოკატთა ქცევის წესების დამდგენი კანონთა უმეტესი ნაწილი შექმნილია ისეთი იურისტების მიერ, რომლებიც ადამიანთან უფლებებს მორალური ასპექტების გათვალისწინების გარეშე იცავდნენ, რაც შემდგომში გახდა ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული პასუხისმგებლობის კოდექსის მოდელის მნიშვნელოვანი ნაწილი და „ეთიკა-2000“-ის ჩამოყალიბების მიზეზი.[126]

6.1 ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატთა ასოციაციის მიერ პროფესიული ქცევისათვის დადგენილი მოდელური წესები (ABA)

ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატთა ასოციაციის მოდელური წესების პრეამბულა მოიცავს ვალდებულებებს, რომელსაც ადვოკატი კისრულობს. ეს ვალდებულებებია: ადვოკატის მიერ გულმოდგინედ მოქმედება კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე შეჯიბრებითობისთვის დამახასიათებელი წესების შესაბამისად და ადვოკატის, როგორც მომლაპარაკებლის ვალდებულება ეძიოს კლიენტისთვის უპირატესობის მიმნიჭებელი შედეგი, მაგრამ ისე რომ მისი ქმედება შეესაბამებოდეს სხვასთან (მეორე მხარესთან) პატიოსნად მოქცევის ვალდებულებას.[127]

---

[124] *ჩიტაშვილი ნ.,* ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, სამართლის ჟურნალი N2, ირაკლი ბურდულის რედაქტორობით, 2016, 35.

[125] *იქვე,* 35-36.

[126] *კიმბერლი კ.კოვაკი,* ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ჭურჭელს (ტიკი–რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან) : იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი,დავის ალტერნატიული გადაწყვეტა,წელიწდეული, 2012 , 145-146.

[127] *Sherill, J., A.,* Ethics For Lawyers Representing Clients in Mediations, 2.

ზემოაღნიშნული დანაწესი, მეტყველებს იმაზე, რომ მოდელური წესები გამოყენებულ უნდა იქნეს იმ ადვოკატების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ კლიენტებს, როგორც მედიაციაში, ასევე ტრადიციულ შეჯიბრებით პროცესში. მაგალითად, პრეამბულაში კონკრეტულად მითითება, რომ ადვოკატს ასვე შეუძლია მოირგოს მესამე ნეიტრალური პირის როლი, არაწარმომადგენლობითი, რომლითაც ის დაეხმარება მხარეებს გადაწყვიტონ დავა ან სხვა საქმე, ადასტურებს რომ ეს წესები ვრცელდება ნეიტრალურ პირად მოქმედ ადვოკატებზეც.[128]

აღნიშნული მოდელური წესები შეიცავს მრავალ დანაწესს იმ ფუნქციების შესახებ რაც ადვოკატმა უნდა იკისროს, მათ შორის ადვოკატის მოვალეობას „გულმოდგინედ (მტკიცედ) დაიცვას თავისი კლიენტის პოზიციები", მისი როგორც მომლაპარაკებლის ვალდებულებას ეძიოს „კლიენტისთვის ხელსაყრელი შედეგი, თუმცა ისეთი როგორიც შეესაბამება სხვებთან მიმართებით პატიოსანი ქცევის მოთხოვნებს."[129] სწორედ ასეთი დათქმა უსვამს ხაზს იმას, რომ მოდელური წესებით დადგენილი ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატისთვისა და დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებში მონაწილე ადვოკატებისთვის ერთნაირია.

ზემოაღნიშნული მოდელური წესების შესაბამისად, მედიაციაში უფლებამოსილებების განაწილება კლიენტსა და ადვოკატს შორის (წარმომადგენლობის ფარგლები) მოიცავს: ადვოკატი უნდა შეიბოჭოს კლიენტის გადაწყვეტილებებით წარმომადგენლობის მიზნებთან დაკავშირებით და შეუთანხმოს კლიენტს თუ რა მითითებებს უნდა მისდიოს მან. ადვოკატი უნდა შეიბოჭოს კლიენტის გადაწყვეტილებით, უნდა დაეთანხმოს თუ არა კლიენტი საკითხის გადაწყვეტის კონკრეტულ შეთავაზებას.[130] მოდელური წესების წესი 1.2 ("წარმომადგენლობის მასშტაბი") მუხლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტის გადაწყვეტილებები მის მიზნებთან დაკავშირებით... გაიაროს კონსულტაცია კლიენტთან იმ საკითხებთან დაკავშირებით რომლითაც ისინი აპირებენ პროცესის წარმართვას. ადვოკატი ვალდებულია დაემორჩილოს კლიენტის გადაწყვეტილებას დავის მოგვარებით დასრულების შესახებ."[131] მსგავსი დანაწესია გათვალისწინებული, ამერიკის შეერთებული შტატების ქცევის კოდექსში, ადვოკატებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი კლიენტების კომპეტენტური წარმომადგენლობა.[132] მედიაციის პროცესში, ადვოკატებმა

---

[128] Ibid, 2.

[129] იქვე, 2, იხ. : ABA Model Rules of Proffessional Conducts, 2002, pmbl. § 2

[130] Ibid, 3.

[131] *Sherill, J., A.,* Ethics For Lawyers Representing Clients in Mediations, 3, იხ. R. 1.2.

[132] *Marcus M.D.,* Mediation Ethics, 4.

უნდა გაიარონ კონსულტაცია თავიანთ კლიენტებთან „მოლაპარაკების საშუალებებთან დაკავშირებით“. მოლაპარაკების საბოლო პირობების ჩამოყალიბება დამოკიდებულია კლიენტზე და არა ადვოკატზე. ადვოკატს შეუძლია მოლაპარაკება აწარმოოს თუ კლიენტი მას ამის უფლებამოსილებას აძლევს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მან არ უნდა მიიღოს თუ მოლაპარაკების ყველა პირობა ექცევა წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებში, ან კლიენტი ცალსახად ეთანხმება ამ შეთანხმებას.[133]

ეს დანაწესი ერთია როგორც ბიზნეს გარიგებებისთვის, ისე მედიაციისა და სამართალწარმოებისთვის. ხშირ შემთხვევაში კლიენტს შეუძლია უფრო მეტად იყოს ჩართული მედიაციის პროცესში, ვიდრე ბიზნეს გარიგებებსა თუ სასამართლო პროცესებში. ამის გარდა, მნიშვნელოვანია ის, რომ ადვოკატის გარდა კლიენტსაც ეკისრება საკუთარი თავის წარმომადგენლობის ვალდებულება და მეორე მხარესთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება, ნებისმიერ შემთხვევაში წარმომადგენლობის მიზნები და საშუალებები კლიენტისა და ადვოკატის ერთმანეთთან კონსულტაციის შედეგად უნდა განისაზღვროს.[134]

ხანდახან, ადვოკატისთვის ცნობილია ის მტკიცებულებები, რომელთაც მოწინააღმდეგე მხარის დაზარალება შეუძლია, მაგრამ მედიაციის პროცესში გამოყენების ნაცვლად, ადვოკატს ურჩევნია შემოინახოს აღნიშნული სასამართლო პროცესისთვის, თუ კი მედიაცია არ იქნება წარმატებული.[135]

ადვოკატები ხშირად დგებიან შემდეგი დილემის წინაშე, „გახსნან თავიანთი ყველა კარტი“ მედიაციის პროცესზე თუ შემოინახონ ზოგიერთი მათგანი სასამართლოსთვის. რეალურად ასეთ დროს გასარკვევია, თუ რა არის პროცესის მიზანი და რომელი გზით გაეწევა კლიენტს საუკეთესო მომსახურება? თუკი მიზანს საქმის სასამართლოსთვის მომზადება წარმოადგენს მედიაციის პროცესის წარმართვა არაეთიკური იქნება, თუმცა თუ მიზანი დავის მოგვარებაა ადვოკატმა უნდა გაზარდოს მტკიცებულებების ღირებულება.[136]

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, კლიენტმა თავად უნდა გადაწყვიტოს სურს თუ არა მედიაციის პროცესში მონაწილეობის მიღება, იმის მსგავსად დაეთანხმება თუ არა შემდგომ დავის მოგვარებით გადაწყვეტის შესახებ შემოთავაზებას, თუმცა ადვოკატმა უნდა მიაწოდოს კლიენტს ასეთი გადაწყვეტილის მიღებისთვის საჭირო ინფორმაცია.[137] კერძოდ, მოდელური კანონის 1.4 მუხლი, ავალდებულებს ადვოკატს, განუმარტოს კლიენტს რომ

---

[133] *იქვე.*
[134] *იქვე,* 3.
[135] *Roth, B., J.,* Ethical Considerations for Advocates in Mediation, Boston, 2005, 3.
[136] *იქვე,* 3-4.
[137] *Marcus M.D.*, Mediation Ethics, 3.

„საქმის არსებითი დეტალების ცოდნა აუცილებელია გადაწყვეტილების მიღებისთვის.“ [138]

მოდელური კანონის წესი 4.1 მუხლის თანახმად, კლიენტის წარმომადგენლობისას ადვოკატმა გამიზნულად: ა. არ უნდა გააკეთოს ყალბი განცხადებები მესამე პირების მიმართ; ან ბ. არ უნდა გაუმჟღავოს მესამე პირს ისეთი ფაქტი, რომლის გამჟღავნებაც საფრთხეს შეუქმნის კლიენტს, დანაშაულის ან თაღლითური ქმედების აცილებაში.

არბიტრაჟსა და სასამართლოში ადვოკატი შეზღუდულია ზემოანიშნული მოდელური კანონის 4.1 წესით, იმდენად რამდენადაც მას აქვს მესამე პირებთან გამკლავების ვალდებულება. სასამართლო და საარბიტრაჟო განხილვის დროს, ადვოკატის ჭეშმარიტების ვალდებულების კონტროლს თავის თავზე სამართალწარმოების ორგანო იღებს, თუმცა მედიაციაში ვინაიდან მედიატორი არ არის მართლმსაჯულების ორგანო ადვოკატის მიერ გულწრფელად მოქცევის ვალდებულება სრულად მის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

საკმაოდ ცნობილია, რომ მედიაციის წარმატებულობისთვის კონფიდენციალურობის პრინციპი მნიშვნელოვანია, რადგან მხარეები შესაძლოა, იმის შიშით რომ მოლაპარაკებების დროს მათ მიერ გაკეთებული განცხადებები შემდგომში მათ წინააღმდეგ იქნება გამოყენებული, გაუბედავები აღმოჩნდნენ ინფორმაციის გამჟღავნებასა და დისკუსიებში მონაწილეობის დროს.[139] მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა აძლევს ადვოკატებს შესაძლებლობას, რომ საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე უფრო კრეატიულად იდავონ. თუმცა, გაურკვეველია რა სამართლებრივი შედეგია გათვალისწინებული იმ შემთხვევისთვის, როდესაც კრეატიულობა გადაიზრდება ფაქტების დამახინჯებაში. ერთ-ერთ საქმეში (Foxgate) გამარტებულ იქნა, რომ არც მედიატორს და არც მხარეს არ აქვს უფლება გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მიიღო ან განახორციელა მედიაციის პროცესში. სასამართლომ არ უნდა გაითვალისწინის კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევით წარდგენილი დოკუმენტი თუ ინფორმაცია. [140]

მოდელური კანონის წესი 1.6-ის მიხედვით, ადვოკატი ვალდებულია თავისთვის შეინახოს კლიენტის მიერ მიწოდებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია. საინტერესოა ჯორჯიის შტატის ერთი მაგალითი, სისხლის სამართლის საქმეზე სადაც სააპელაციო სასამართლომ შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რადგან აღმოაჩინა რომ საქმე განხილული იქნა ისეთი მტკიცებულების დაშვებით, რომელიც

---

[138] *იქვე,* იხ.: R. 1.4

[139] *იქვე,* 6.

[140] *Marcus M.D.*, Mediation Ethics, 5.

გამოყენებული და დაკავშირებული იყო მანამდე არსებულ მედიაციის პროცესთან. საქმის განმხილველმა სასამართლომ თავდაპირველად შეაჩერა სისხლისსამართლებრივი განხილვა, რათა გაეგო მიღწეული იქნებოდა თუ არა შეთანხმება სამოქალაქოსამართლებრივი გზით, თუმცა შეთანხმება ვერ შედგა. [141]

ჯორჯიის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „არცერთი ბრალდებული არ დათანხმდება საკუთარი პოზიციის საფრთხის ქვეშ დაყენებაზე, მაშინ როდესაც მან იცის რომ ნებისმიერი შეთანხმება, გამომდინარე იქიდან თუ რას აკეთებს ან ამბობს ის მედიაციის პროცესში, სისხლისსამართლებრივ საქმეში ხელმისაწვდომი და გამოყენებული იქნება ბრალის აღიარებისთვის, რაც საბოლოოდ მედიაციის პროცესს საფრთხეს შეუქმნის.“[142] ამ ყველაფრის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იურისდიქციათა უმრავლესობაში ნებისმიერი მტკიცებულება იქნება ეს აღიარება, შეფასება თუ რაიმეს სახის დოკუმენტი, რომელიც მოპოვებულია მედიაციის შედეგად არ იქნება გამოყენებული ან გამოთხოვილი სასამართლო პროცესზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა იურისდიქციაში ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც მიიჩნიეს რომ კონფიდენციალურობის პრინციპი ურღვევი არ არის. მაგალითად, ჯორჯიის შტატის უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე, რომელშიც მედიატორი მოწმედ იქნა გამოძახებული და გამოკითხული ერთ-ერთი მხარის მიერ მოლაპარაკებების მიღწევის შესაძლებლობებზე. განქორწინების საქმეზე ***ვილსონი ვილსონის*** *(Wilson against Wilson) წინააღმდეგ* მხარეებმა მედიაციის პროცეში მონაწილეობა წარმომადგენლების გარეშე მიიღეს, რის შედეგადაც საბოლოოდ შეთანხმებას მიაღწიეს. სწორედ მაშინ როდესაც ქალბატონი ვილსონი უკვე მიღწეული შეთანხმების აღსრულებისკენ ისწრაფვოდა, ბატონმა ვილსონმა წამოჭრა საკითხი მედიაციის პროცესის დროს მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ. მედიაციის პროცესის სამართლიანობის შესამოწმებლად სასამართლომ დაუშვა ზოგადი წესიდან ისეთი გამონაკლისი, რომელიც აქამდე არცერთი სასამართლოს მიერ არ ყოფილა დაშვებული.[143]

ჯორჯიის შტატის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ შეცდომით არ განიხილა დავა, მაშინ როდესაც მედიატორი ჩვენების მისაცემად გამოიძახა, რადგან მედიატორმა ჩვენება მისცა არა იმ ფაქტებისა და კონფიდენციალური განცხადებების შესახებ, რომლებიც მხარეებმა მედიაციის პროცესში გააკეთეს, არამედ ისაუბრა იმაზე,

---

[141] *იქვე,* 7.
[142] *იქვე.*
[143] *იქვე,* 8 , იხ.: 282 Ga. 728, 653 S.E.2d 702 (2007).

თუ როგორი იყო მხარეების ემოციური და ფსიქიკური მდგომარეობა მისი შეხედულებით. სასამართლომ მიუთითა, რომ მედიატორი იყო ერთადერთი მოწმე ამ საქმესთან დაკავშირებით. ამასთან სასამართლომ აღიარა მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პრინციპის მნიშვნელოვნება და მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდეგში სიფრთხილე გამოეჩინათ მედიატორის, როგორც მოწმის გამოძახების დროს. [144]

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ზოგიერთი ეთიკური სტანდარტის დარღვევისთვის დაწესებულია სანქცია. მაგალითად, მედიატორის პერსპექტივიდან, განსაკუთრებით სასამართლო მედიაციის დროს, როდესაც მედიატორი მუშაობს კომპენსაციის გარეშე ან არსებითად მცირე ანაზღაურებით, გამაღიზიანებელია ადვოკატის ქცევა, როდესაც ის აუქმებს მედიაციას ბოლო მომენტში ან საერთოდ არ ცხადდება მედიაციის პროცესზე. მიუხედავად იმისა, რომ კანონით მოსარჩელეს სასამართლო მედიაციის პროცესამდე ორი დღით ადრე ევალება გააფრთხილოს სასამართლო მედიატორი, ყველა ადვოკატი არ ემორჩილება ამ წესს. სწორედ ეთიკური სტანდარტის ამგვარი უგულებელყოფისთვის არის დაწესებული ფულადი სანქცია. [145]

6.1.1. ეთიკის კომისიის რეკომენდაციები მოდელურ კანონთან დაკავშირებით

ეთიკის კომისიამ განიხილა ბევრი არგუმენტირებული წინადადება, შეიმუშავა რეკომენდაციები და ახალი სტანდარტები მოდელური წესების გადასინჯვის შესახებ ზოგადად იურისტისა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებში მონაწილე ადვოკატებისთვის.[146]

ადვოკატისთვის დადგენილი სტანდარტების განხილვისას კომისია დადგა შემდეგი კითხვის წინაშე: არიან თუ არა ადვოკატები მოდელური წესების სათანადო ადრესატები?

ბუნებრივია, მედიაციის პროცესში და სასამართლოში მონაწილე ადვოკატებს შორის არსებობს განსხვავება. მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატი ექვემდებარება მოდელურ წესებს ხოლო, სასამართლოში მონაწილე ადვოკატი პროფესიულ ქცევის კოდექსს. სინამდვილეში, ადრეულ პერიოდში კომისიის მიერ შემუშავებული ქცევის კოდექსით ადვოკატი ნეიტრალურ პირზე მეტად მოსამართლედ აღიქმებოდა, თუმცა ბევრი

---

[144] *იქვე*, 9 , იხ.: Wilson, 282 Ga. at 732-33, 653 S.E.2d at 706.

[145] *Marcus M.D.*, Mediation Ethics, 3.

[146] *Douglas H. Yarn*, Lawyer Ethics in ADR and the Recommendations of Ethics 2000 to Revise the Model Rules of Professional Conduct: Considerations for Adoption and State Application, 54 Ark. L. Rev. 207, 2001, 219.

ავტორისათვის ადვოკატის ნეიტრალურ პირად აღიარების მიუხედავად მოდელური წესების დარღვევა ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს. ადვოკატები ირგებენ ნეიტრალური პირის როლს თუმცა მათი ქცევები არ შეესაბამება მათთვის დადგენილ დისციპლინურ სისტემას. საკითხავია არის თუ არა მოდელური წესები ადვოკატების ქცევის მართვის შესაფერისი მექანიზმი თუ არა? რამდენად შორს უნდა წავიდეს კომისია? უნდა შეისწავლოს თუ არა მან ნეიტრალურ პირზე გავლენის მომხდენი მთელი რიგი ეთიკური საკითხები, მხოლოდ იმიტომ რომ ისინი იურისტები არიან? თუ უნდა შეისწავლონ მხოლოდ ის საკითხები რომლებიც ახდენენ გავლენას იურისტებზე, რადგან ისინი წარმოდგენილნი არიან როგორც ნეიტრალური პირები?[147] კომისიის შეხედულებების განხილვისას ეს განსხვავებული მიდგომები მიჩნეულ იქნა როგორც მაქსიმალისტურ და მინიმალისტურ მიდგომებად.

მაქსიმალისტური მიდგომის მიხედვით, მოდელურმა წესებმა ადვოკატებისთვის უნდა უზრუნველყოს პრაქტიკული სტანდარტი და ეთიკის წესები, იმის გათვალისწინებით, ემთხვევა თუ არა ეს სტანდარტი პროფესიონალური დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების რეჟიმებს. ასეთი მიდგომა შესაძლოა შეიცავდეს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების სტანდარტების სრულ სპექტრს, რომელიც მოიცავს მხარეების მიუკერძოებლობას, ინტერესთა კონფლიქტს, კონფიდენციალურობას, კომპეტენციას, სამართლიანობას , პროცესის ხარისხსს (და შესაძლო შედეგებს), საფასურს, რეკლამას, შუამდგომლობას, შრომისუნარიანობას და სხვა.[148]

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების სტანდარტების რანჟირება მოდელური წესების შესაბამისად, აქცევს მათ დისციპლინარული მექანიზმის რეჟიმის ქვეშ, რითაც მათი ლეგიტიმურობა იზრდება.

ამის საპირისპიროდ, მინიმალისტური მიდგომის პირობებში, მოდელურმა წესებმა უნდა უზრუნველყოს სტანდარტები მხოლოდ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ადვოკატებისთვის უნიკალურია, რადგან ისინი ნეიტრალურ პირად წარმოსდგებიან. ამ საკითხებმა შესაძლოა გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტები კონფიდენციალურობის ვალდებულებებსა და ადვოკატის არასათანადო ქცევას შორის.[149]

მაქსიმალისტური მიდგომა მხარდაჭერილი იქნა ჯორჯტაუნის ეთიკისა და სტანდარტების კომისიის მიერ, რათა გამოიკვლიონ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების უკვე არსებული ეთიკის სტანდარტები, მათ

---

[147] *იქვე,* 220.
[148] *იქვე,* 221.
[149] *იქვე.*

შორის ისინიც რომელიც მიემართება ადვოკატებს. კომისიამ მხედველობაში მიიღო რამდენიმე არსებული სახელმწიფო მოდელი, რომლებმაც უკვე მიმართეს ადვოკატის ეთიკის პრობლემის სამ განსხვავებულ მექანიზმს: თავისუფალი CCA ეთიკის რეჟიმებს, სამართლებრივი ეთიკის რეჟიმების შედგენასა და სამართლებრივი ეთიკის რეჟიმის მოდიფიკაციას.[150]

ეთიკის კომისიამ განიხილა უნდა დადგენილიყო ადვოკატის ქცევისთვის ახალი წესები თუ უნდა შესწორებულიყო უკვე არსებული? მედიატორისთვის დადგენილი სტანდარტებისგან განსხვავებით, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებში მონაწილე ადვოკატებისთვის არის განსხვავებული შეხედულება, იმის შესახებ თუ როგორი უნდა იყოს მათი ქცევა. მინიმალისტური და მაქსიმალისტური მიდგომის ნაცვლად, კომისიამ ან უნდა მიიღოს ან უნდა უარყოს ცნება იმასთან დაკავშირებით რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებში მონაწილე ადვოკატებისთვის უნდა იყოს დაწესებული ამჟამინდელისგან განსხვავებული, ახალი, უმაღლესი სტანდარტი. მედიაციის ადვოკატებისთვის არსებობს ორი კატეგორიის შესაძლო სტანდარტი. პირველი კატეგორია მოიცავს სტანდარტებს რომლებიც ხელს უწყობენ მედიაციის პროცესებს, რომლის მთავარ არსს წარმოადგენს ის რომ ადვოკატები კლიენტებს ემსახურებიან დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალების შეთავაზებით, რა დროსაც ადვოკატებმა როგორც მრჩევლებმა, უნდა უზრუნველყონ კლიენტები საკმარისი ინფორმაციით.[151]

მეორე კატეგორია მოიცავს სტანდარტებს, რომლებიც მედიაციის პროცესში ადვოკატის ქცევის წახალისებას ემსახურება. აღნიშნულის მთავარ არსს წარმოადგენს ის, რომ სხვადასხვა დავის გადაწყვეტის პროცესი სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. იმისათვის, რომ გამოიყენოს კონკრეტული გზა, ადვოკატი უნდა მოიქცეს ისე, რომ მისი ქცევები თანხვედრაში იყოს კლიენტის ემოციებთან. ადვოკატი უნდა იყოს კლიენტისთვის პრობლემის საუკეთესო გადამჭრელი მიუხედავად იმისა, რომ პროცესი და პრობლემის გადაჭრა ერთმანეთისგან განსხვავებულ ქცევას მოითხოვს.

რაც შეეხება მოლაპარაკებების პროცესს, ეს გულისხმობს ადვოკატის მოქცევას მოლაპარაკებების ქცევის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად.[152]

აღსანიშნავია, ნიუ-იორკის ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტის მიერ დადგენული პასუხისმგებლობა, რომელიც განკუთვნილია იურიდიული

---

[150] *იქვე,* 230.
[151] *იქვე,* 245.
[152] *იქვე,* 245-246.

ფირმების იურისტებისთვის და ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დაკისრებას ეთიკური ვალდებულებების დარღვევისთვის. [153]

6.2. არკანზას შტატის მიერ დადგენილი სტანდარტები დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებში მონაწილე ადვოკატებისთვის

საკითხავია უნდა გაითვალისწინოს თუ არა ეთიკის კომისიის რეკომენდაციები არკანზას შტატმა, იმისათვის რომ კლიენტებს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება შესთავაზონ? ამის დადებითად გადაწყვეტისთვის სულ მცირე ორი მიზეზი არსებობს.

პირველ რიგში, ადვოკატს უნდა ეკისრებოდეს ვალდებულება რომ კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა სამართლებრივ სამყაროში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები პრივილეგირებული. მეორე რიგში, უნდა არსებობდეს იმის მოვალეობა, რომ ხელი შეეწყოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებს განვითარებას.

პირველი მიზეზით, არკანზაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება და ხელმისაწვდომობა მოწესრიგებულია იმ შტატებში, სადაც სასამართლოები უფლებამოსილნი არიან მხარეები დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პროცესებისკენ მიმართონ.

ამ შტატებში ადვოკატები რომლებიც არ „მეგობრობენ“ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებთან, რისკავენ მაშინ, როდესაც კლიენტის ნდობის ბოროტად გამოყენებით არ ცდილობენ მიიღონ ის მინიმალური ცოდნა, რასაც ჩვეულებრივად უნდა ფლობდეს იურისტი. თუმცა, არკანზაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ინსტიტუციონალიზაციის არსებული დონე შესაძლოა არ იყოს ისეთი მაღალი რომ ასეთი მოთხოვნის ჩამოყალიბება გამოიწვიოს.[154]

რაც შეეხება მეორე მიზეზს, არკანზამ წარმოადგინა დამაჯერებელი არგუმენტები იმის სასარგებლოდ, რომ უკეთესია თუ ადვოკატები განიხილავენ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პირობებს თავიანთ კლიენტებთან.

---

[153] *ჩიტაშვილი ნ.,* „მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები“, სამართლის ჟურნალი N1, 2016, 39.

[154] *Douglas H. Yarn*, Lawyer Ethics in ADR and the Recommendations of Ethics 2000 to Revise the Model Rules of Professional Conduct: Considerations for Adoption and State Application, 54 Ark. L. Rev. 207, 2001, 263.

არკანზას გენერალურმა ასამბლეამ განაცხადა, რომ შტატის პოლიტიკა მდგომარეობს წაახალისონ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება[155] და ამ პოლიტიკასთან შესაბამისობაში, საკანონმდებლო ორგანოები ადვოკატებს მოუწოდებენ კონსულტაცია გაუწიონ და მიაწოდონ ინფორმაცია კლიენტებს დავის გადაწყვეტის საშუალებების სხვადასხვა ვარიანტის, მათ შორის სასამართლო პროცესის შესახებ, ამასთან დაეხმარონ მათ დავის გადაწყვეტის შესაბამისი მეთოდისა და პროცედურის არჩევაში.

მიუხედავად ეთიკის კომისიის მიერ უკვე არსებული სტანდარტის გადახედვისა, შესაძლოა საჭირო გახდეს უფრო ძლიერი, სავალდებულო სტანდარტის შემუშავება, ვინაიდან შტატის პოლიტიკას დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ნებაყოფლობითი გამოყენების წახალისება წარმოადგენს.

როგორც შტატების უმრავლესობაში, სადაც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ინსტიტუციონალიზაცის დონე მაღალი არ არის, არკანზას შტატში ჩვეულებრივ კლიენტსაც არ ეცოდინება ზემოთხსენებული ალტერნატიული გზების შესახებ და საკუთარი ნებით, დავის გადაწყვეტისთვის, არ მიიღებს ისეთ პროცესებში მონაწილეობას, რომლის შესახებაც არაფერი იცის. თუ არკანზას სასამართლოებს არ გააჩნიათ ძალაუფლება, რომ გადაამისამართონ მხარეები დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პროცესებში, მაშინ აღნიშნული მოვალეობა მთლიანად ადვოკატებზეა დამოკიდებული.[156]

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ არკანზას შტატი ფოკუსირებულია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების წახალისებასა და გამოყენებაზე.[157]

6.3. ავსტრალიის სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის

მედიაციის პროცესში მონაწილე იურისტებისთვის ავსტრალიაში შემუშავებულია სარეკომენადაციო სახის სახელმძღვანელო. ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო მოიცავს მითითებებს, რომლებიც ადვოკატმა მედიაციის პროცესში მონაწილეობისას უნდა გაითვალისწინოს. სახელმძღვანელოს თანახმად, ადვოკატები და მათი კლიენტები დავის გადაწყვეტის მიღწევისთვის ყოველთვის კეთილსინდისიერად უნდა მოქმედებდნენ. ამავე

[155] *იქვე,* 264.
[156] *იქვე,* 266.
[157] *იქვე,* 268.

მითითების კომენტარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადვოკატმა კლიენტს აუცილებლად უნდა ურჩიოს იმოქმედოს კეთილსინდისიერად.[158]

რაც შეეხება კონფიდენციალურობას, ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო მიუთითებს, რომ ნებისმიერი რამ რასაც მხარეები იტყვიან ან გააკეთებენ მედიაციის პროცესში არის მკაცრად კონფიდენციალური. უფრო მეტიც, კანონის შესაბამისად, ადვოკატმა უნდა დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელსაც მოითხოვენ მხარეები და რომელიც გათვალისწინებული იქნება მედიაციის შესახებ შეთანხმებაში.

მედიატორის და მეორე მხარის თანხმობის გარეშე, ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს რაიმე ინფორმაცია, რომელიც გაჟღერებული იქნება მედიატორის მიერ კერძო შეხვედრებზე.[159]

ავსტრალიის სახელმძღვანელო იმ ადვოკატებისთვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მედიაციაში, განმარტებას აკეთებს იმის შესახებ თუ რას მოიცავს მედიაციისთვის მომზადება. პირველ რიგში, ადვოკატს უნდა შეეძლოს სამართლებრივი საკითხების მიღმა სხვა საკითხების დანახვა და დავის უფრო ფართოდ, პრაქტიკულ და კომერციულ კონტექსტში გააზრება, ანუ სამართლებრივი გარმოებების შეფასებისას, ადვოკატმა დავა უნდა განიხილოს კლიენტის ბიზნეს, პირადი და კომერციული საჭიროებებიდან გამომდინარე, და თავი უნდა მოუყაროს ყველა პრატიკულ შესაძლებლობას დავის გადასაწყვეტად. მედიაციისთვის მომზადებისას კლიენტის ადვოკატმა უნდა შეძლოს რისკების გაანალიზება და კლიენტის ინტერესებთან მორგება. ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მედიაციის ბუნების შესახებ, რომ მედიაცია არ არის შეჯიბრებითი პროცესი, სადაც დგინდება ვინ არის მართალი და ვინ არა. [160]

ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო აგრეთვე მიუთითებს, რომ წარმატებული მედიაციისთვის საჭირო უნარები იმ უნარებისგან განსხვავებით, რომელიც საჭიროა ადვოკატირებისთვის, განსხვავებულია. ადვოკატი, რომელიც იყენებს დამარწმუნებელ და არა შეჯიბრებით ან აგრესიულ მიდგომას და ითვალისწინებს მეორე მხარის ინტერესებს, უფრო კარგ შედეგს იღებს, ვიდრე ის, ვინც ამგვარად არ იქცევა. ადვოკატის მიერ აქტიური მოსმენის უნარების გამოვლენა, მაშინაც კი როცა რაიმე არარელევანტურია სასამართლო პროცესისთვის, მნიშვნელოვანია დავის გადაწყვეტისთვის ხელსაყრელი ატმოსფეროს შესაქმნელად. [161]

---

[158] Guidelines for lawyers in mediation, Law council of Australia, article 2.2.
[159] Guidelines for lawyers in mediation, Law council of Australia, article 2.1.
[160] Ibid, article 5.1.
[161] Ibid, 6.1.

7. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა:

7.1. ადვოკატის მედიაციის პროცესში ნეიტრალურ პირად ქცევა

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ მედიაციის პროცესში ადვოკატის ადგილი არ არის. ის ნეიტრალურ პირად უნდა მოგვევლინოს, რომელიც მხოლოდ მიღწეული შეთანხმების სამართლიანობას შეაფასებს.[162]

მიუხედავად ამისა, არ უნდა იქნეს გაზიარებული ზემოაღნიშნული მოსაზრება, რადგან, იურისტის, როგორც მხარის წარმომადგენლის მონაწილეობა მედიაციის პროცესზე დადებით გავლენას მოახდენს. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იურისტი მხარეს ინტერესების გაცნობიერებასა თუ გამოკვეთაში ეხმარება. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ იქნება წარმოდგენილი ადვოკატით, მედიატორი ვერ აარიდებს თავს მხარეებისგან უამრავ კითხვას (მით უმეტეს თუ მედიატორი პროფესიით იურისტია.) შესაძლოა, ამით საფრთხე შეექმნას მედიატორის ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს, რომლის დაუცველობაც „მედიაციის არსებობას ფუნდამენტურ საფუძველს აცლის“.[163]

მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის პროცესს არც თუ ცოტა არაიურიდული ელემენტი ახასიათებს და ის არ წარმოადგენს წმინდა სამართლებრივ მოვლენას,[164] მხარეს, რომელსაც არ აქვს იურიდიული განათლება ყოველთვის დააინტერესებს ადვოკატის, როგორც სამართალმცოდნის აზრი,[165] რადგან მედიაციის შედეგად შეთანხმების შეუსრულებლობა ისევ კანონის ფარგლებში ექცევა. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მხარე გაუჩნდეს შიში იმისა, რაღაც კანონსაწინააღმდეგოდ არ განხორციელდეს, რაც მას თავს აგრძნობინებს პროცესში სუსტ მხარედ. თუკი მხარე თავიდანვე ჩათვლის, რომ იგი იქნება სუსტი, დაუცველი მონაწილე მედიაციის პროცესის, ის დიდი ალბათობით, თავს აარიდებს მასში მონაწილეობას და მით უმეტეს, არ გახდება მედიციის დაწყების ინიციატორი.

გარდა ამისა, ავტორთა ერთი ნაწილი, ემხრობა ადვოკატების მონაწილეობას მედიაციის პროცესში, მხარეთა წარმომადგენლის ამპლუაში, რადგან მიესალმება სამართლებრივ დისკუსიებს მხარეებს და მათ იურისტებს შორის (აქვე იმასაც მიუთითებენ, რომ მხოლოდ კანონის ნორმების ინტერპრეტაცია არაა საკმარისი შეთანხმების მისაღწევად).[166]

---

[162] *Wolski B.,* On Mediation,Legal Representatives and Advocates, U.N.S.W.L.J., 2015,32.
[163] *იქვე,* 332–333.
[164] *იქვე,* 44.
[165] *იქვე,* 333.
[166] *იქვე,* 132.

ამგვარ დისკუსიებს შეუძლიათ დაეხმარონ მხარეებს ალტერნატივების და რისკების კარგად შეფასებაში, რაც ხელს შეუწყობს მხარისთვის ხელსაყრელი შედეგის მიღებას და მედიაციის პროცესის წარმატებით დასრულებას.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებითი სისტემისთვის დამახასიათებელი ქცევა მხოლოდ სასამართლო პროცესის მონაწილეთათვის არაა ნიშანდობლივი, ის საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი.[167] აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ თუ ადვოკატი არ იქნება მედიაციის პროცესის მონაწილე, როგორც არ უნდა განუმარტოს მან მხარეს დავის გადაწყვეტის ამ ალტერნატიული საშუალების არაშეჯიბრებითი ხასიათი, ის მაინც არ მოერიდება კონფრონტაციას (თუ ეს მისი ინტერესებიდან გამომდინარეობს). ადვოკატისთვის მედიაციისთვის დამახასიათებელი ქცევის ჩამოყალიბება გაცილებით მარტივია, ვიდრე ყველა სხვა ადამიანისთვის, ვინაიდან ამ უკანასკნელთა ქცევაზე ზეგავლენის მოხდენის ბერკეტი არ არსებობს და ვერც იარსებებს. მედიაციის ეთიკის წესების დადგენა არ გამოგვადგება მედიაციის პროცესის მხარის მიერ საპაექრო მიდგომის გამოსარიცხად, რადგან ის საერთაშორისო პრაქტიკაში არ მიიჩნევა ეთიკის წესების ბოჭვის ადრესატად. საერთაშორისო პრაქტიკაში ცვლილება კი, გაცილებით რთულად მისაღწევი მიზანია.

ადვოკატი, კი, რომელიც გამომიმუშავებს მედიაციის პროცესისთვის დამახასიათებელ უნარებს (რაზეც დეტალური მსჯელობაა განვითარებული 8.2 პუნქტში), შეძლებს თავისი კლიენტისთვის სწორი მიმართულებების მიცემას თავად პროცესის მიმდინარეობისას.

7.2. მედიაციის პროცესისთვის დამახასიათებელი ქცევის ჩამოყალიბება

შეჯიბრებითობის სისტემისთვის დამახასითებელი ქცევით, რომელიც, შესაძლოა, გამომდინარეობდეს კიდეც კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან მოქმედების ვალდებულებით, ადვოკატი მედიაციის პროცესის ხელშემშლელ მონაწილედ იქცევა. საპაექრო მიდგომა პირდაპირ ეწინააღმდეგება და ხელს უშლის მედიაციის პროცესის უმაღლეს მიზანს – მოაგვაროს დავა ორმხრივად სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებით. საპაექრო მიდგომა მედიაციას

[167] *კიმბერლი კ.კოვაკი,* ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ჭურჭელს(ტიკი–რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან):იურისტის ეთიკის გარდაქმნა,რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი,დავის ალტერნატიული გადაწყვეტა,წელიწდეული, 2012 , 145.

„სასამართლო დავის სისტემის მსუბუქ ვერსიად“ გარდაქმნის, რაც შედეგად მედიაციის პოტენციალის შთანთქმას გამოიწვევს[168]

ჯონ უინსტონი, რომელიც ბიჰევიორიზმის ფუძემდებლად ითვლება იზიარებდა ჯონ ლოკის იდეებს, რომელსაც ადამიანის გონება სუფთა დაფად მიაჩნდა და ამბობდა,რომ პიროვნებას გარემო აყალიბებს.[169] სწორედ სამართლის სკოლებია ის, სადაც იურისტები ფეხს იდგამენ თავიანთ პროფესიაში, აყალიბებენ ადვოკატებს შეჯიბრებითი სისტემისთვის დამახასითებელი ქცევის პიროვნებებად.

გაზიარებულ უნდა იქნეს პროფესორ კოვალსკის აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ მედიაციის პროცესისთვის დამახასიათებელ უნარ–ჩვევებს სჭირდება გამომუშავება, რაც ერთგვარად მიიღწევა დავის გადაწყვეტის ამ ალტერნატიული საშუალების არსის და მიზნების გააზრებით, და დაფუძნებულია ერთგვარ მოტივაციაზე. ხშირად სტუდენტები ისე ამთავრებენ სამართლის სკოლებს, მედიაციის შესახებ მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. მედიაციის მაგიდასთან აღმოჩენისას კი ისე იქცევიან, როგორც სასამართლო დარბაზში.[170]

ადვოკატის შესაძლებლობები არ უნდა შემოვსაზღვროთ მხოლოდ სასამართლო დარბაზით. იურისტები განსხვავებულ როლებს ირგებენ, მრავალ კონტექსტში, კლიენტის სასარგებლოდ და დასახული მიზნის მისაღწევად.[171] სწორედ ამიტომ, გონივრულია, დავუშვათ, რომ ადამიანის შესაძლებლობებს არ აღემატება, თუნდაც ორი ერთმანეთის საპირისპირო უნარ–ჩვევის გამომუშავება. სამართლის სკოლებში, თუ მედიაციის საგნის შესაწავლა გახდება სავალდებულო, სახელმწიფო უზრუნველყოფს ტრენინგების და სასწავლო კურსებს, ადვოკატები არა მხოლოდ გაიაზრებენ მედიაციის არსს, მიზნებსა და უპირატესობას, არამედ გამოიმუშავებენ ურთიერთანამშრომლობის უნარს, რაც ასე აუცილებელია მედიაციის უპირატესი მიზნების მისაღწევად და შეჯიბრებითობის გამოსარიცხად.

როგორ აყალიბებს გარემო ქცევას? ბიჰევიორალისტები გვპასუხობენ, რომ დასწავლის მეშვეობით, ეს უკნასკნელი კი – სტიმულის შედეგად

---

[168] *იქვე,* 143-144.

[169] *ხეჩუაშვილი ლ.,* პიროვნება, შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში I. თბილისი, 2013, 94–103.

[170] *კიმბერლი კ.კოვაკი,* ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ჭურჭელს(ტიკი–რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან): იურისტის ეთიკის გარდაქმნა,რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი,დავის ალტერნატიული გადაწყვეტა,წელიწდეული, 2012 , 139–160.

[171] *Wolski B.*, On Mediation,Legal Representatives and Advocates, U.N.S.W.L.J.,2015, 35.

მიიღწევა.[172] თავად შეჯიბრებითობის ქცევის ჩამოყალიბებას, ხელს უწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრი, რომ სასამართლო პროცესის მოგება საუკეთესოდ აისახება ადვოკატის კარიერაზე. რა სტიმული უნდა ჰქონდეს სტუდენტს რომ დაისწავლოს მედიაციის პროცესისთვის დამახასიათებელი ქცევა, გაიაზროს მისი არსი?

გონივრულია, თუ, პირველ რიგში, სწორედ ის შეიცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, რომ მხოლოდ მოგებულ პროცესთა ნუსხა არ მოახდენს ადვოკატის კვალიფიკაციასა და შესაძლებლობებზე გავლენას. მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის მიერ შემუშავებულია ისეთი პროცესი, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატებს აფასებენ „პრობლემების მოგვარებისა და საქმეთა გაძღოლის უნარების მიხედვით.“[173] მიზანშეწონილი იქნება, თუ საქართველოშიც შემუშავდება ამგვარი პროცესი და გაზიარებულ იქნება ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ მედიაციის პროცესში დავუშვებთ შეჯიბრებითი სისტემისთვის დამახასითებელ ქცევას იმ დოზით, რასაც ზემოაღნიშნულ ავტორთა მოსაზრება ემყარება, ზღვარის დადგენა გადაჭარბებულ მეტოქეობასა და მედიაციის პროცესისთვის „აუცილებელ“ შეჯიბრებითობას შორის რთული და ალბათ შეუძლებელიც იქნება. ამით კი ადვოკატებს მივცემთ ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობას, რადგან მხარის წარმომადგენლებს ყოველთვის ურჩევნიათ დაუპირისპირდნენ მეორე მხარეს, რათა კლიენტს დაუმტკიცონ, რომ ისინი მაქსიმალურად იხარჯებიან მათი მიზნების მისაღწევად.

მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატი მაქსიმალურად უნდა გათავისუფლდეს შეჯიბრებითობის პრინციპის გავლენისგან, უნდა დაივიწყოს მისთვის აქამდე ჩვეული პაექრობა და უნდა მოირგოს განსხვავებული როლი. შეჯიბრებითობისთვის დამახასიათებელი ქცევა ხელს შეუშლის მხარეთა რეალური ინტერესების წარმოჩენას, და მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების, როგორც ინსტიტუტის წარმატებულ არსებობას. აღნიშნული ქცევის გამოვლენით, ადვოკატი უარყოფს მედიაციის ყველა მიზანსა და პრინციპს და ხელს შეუწყობს მედიაციის მიმართ უნდობლობის ჩამოყალიბებას. „საპაექრო

---

[172] *ხეჩუაშვილი ლ.,* პიროვნება,შესავლი პიროვნების ფსიქოლოგიაში I, თბილისი, 2013 , 94–103.

[173] *კიმბერლი კ.კოვაკი,* ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ჭურჭელს (ტიკი–რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან):იურისტის ეთიკის გარდაქმნა,რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი,დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული , 2012, 148–149.

მიდგომა დავის გადაწყვეტის ამ ალტენატიული საშუალებას „სასამართლო დავის სისტემის მსუბუქ ვერსიად“ გარდაქმნის, რაც შედეგად მედიაცის პოტენციალის შთანთქმას გამოიწვევს.“[174]

შესაძლებელია, ადვოკატმა მისი განვლილი იურიდიული გამოცდილებიდან გამომდინარე კლიენტის ყურადღება დავის გადაწყვეტის წინააღმდეგობრივ მეთოდზე გადაიყვანოს და მოლაპარაკება მწვავე კონფლიქტში გადაზარდოს.[175] ადვოკატმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას მხარეს, რადგან მხარე შესაძლოა, დამოკიდებული გახდეს ადვოკატზე და იმდენად მიეჯაჭვოს მას რომ მოლაპარაკების პროცესში მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატი იყოს ჩართული.[176]

7.3. მედიაციაში მონაწილე მხარეებისთვის ეთიკის წესების დადგენის აუცილებლობა

„საქართველოში მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის გზაზე ეთიკის წესების დროული დადგენა შესაბამისი პრაქტიკის სრულფასოვანი განვითარებისთვის გარდაუვალი აუცილებლობაა.“[177]

გაზიარებული უნდა იქნას ის მოსაზრება რომ, აუცილებელია ერთიანი, სპეციალიზირებული ეთიკური კოდექსის შემუშავება (რომელიც გავრცელდება იურისტზე, როგორც მხარის წარმომადგენელზე) და წესების იმგვარად ფორმულირება, რომ ადვოკატმა შეჯიბრებითობის გამორიცხვა შეძლოს.[178] თუმცა, საკითხავია როგორი უნდა იყოს ეს ეთიკის კოდექსი და მასში ჩამოყალიბებული წესები? შეძლებს კი ინდივიდი, რომელიც მიჩვეულია შეჯიბრებით გარემოს, წარმოადგინოს კლიენტი არაშეჯიბრებით კონტექსტში? ზოგადად, ეთიკის კოდექსები ორი მიზნის მისაღწევად არის შექმნილი: ერთს წარმოადგენს მინიმალური ეთიკური წესებისგან გადახვევის გამო დასჯადობა, ხოლო მეორეს - გარკვეული მიმართულების ჩამოყალიბება ეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით. ახალი ეთიკური სტანდარტები საჭიროა რომ ორივე მიზნის მიღწევას ემსახურებოდეს.[179]

---

[174] *იქვე,* 143-144.

[175] *გურიელი ა.,* ადვოკატის როლი სამოქალაქო სამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში, წელიწდეული, 2016, 126.

[176] *იქვე.*

[177] *ჩიტაშვილი ნ.,* მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი N1, 2016 , 25.

[178] *კიმზერლი კ.კოვაკი,* ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ჭურჭელს(ტიკი–რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან):იურისტის ეთიკის გარდაქმნა,რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი,დავის ალტერნატიული გადაწყვეტა,წელიწდეული, 2012 , 151.

[179] *იქვე,* 150-151.

გონივრულია, იმ ავტორების მოსაზრება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ,,ეთიკის წესები უნდა იყოს სამართლებრივად მბოჭავი. იმისთვის რომ მედიაციის კოდექსში გათვალისწინებული წესები შესრულდეს აუცილებელია განისაზღვროს პასუხისმგებლობის ზომები. მათ შორის: საქმიანობის შეზღუდვა, სისხლის ან სამოქალაქო პასუხისმგებლობაში მიცემა და ა.შ.[180] წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მიიღწევა მნიშვნელოვანი შედეგი, რადგან სასჯელი კონკრეტული ქმედებისგან თავის შეკავების ყველაზე დიდი „სტიმულია“.

„მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტების პრეამბულაში მითითებულია ადვოკატის ვალდებულებზე, მზრუნველობით დაიცვას კლიენტის პოზიციები და როგორც მომლაპარაკებელი, ორიენტირებული იყოს კლიენტისთვის სასარგებლო შედეგის მიღწევაზე, სხვა მონაწილეების მიმართ კეთილსინდისიერი მოპყრობის მოთხოვნათა დაცვით“[181] ფაქტია, რომ საპაექრო მიდგომა სხვა მონაწილეების მიმართ კეთილსინდისიერი მოპყრობის სტანდარტს გამორიცხავს, რადგან ხშირად კონფრონტაციას თან სდევს მეორე მხარისთვის „უსამართლო“ შედეგი.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ რომ იურისტებში უნდა არსებობდეს ემოციური პოტენციალი. იურისტს უნდა შეეძლოს ადამიანის ემოციების შეცნობა და გააზრება. მედიაციისთვის საჭირო ეთიკის საკითხების განხილვა გარკვეულწილად წინა პლანზე სწევს თერაპიულ იურისპრუდენციას (Therapeutic Jurisdiction), რომლის მიხედვითაც ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები სამკურნალო და სასარგებლოა როგორც კლიენტისთვის, ისე იურისტებისთვის. ხშირად ავლებენ პარალელს მედიაციასთან, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებასა და თერაპიულ იურისპრუდენციას შორის. თერაპიული იურისპრუდენციის უმთავრესი აღმოჩენა თვითგამორკვევაა, ე.ი ინდივიდების შეხედულებების დაფასება, რომელიც იდეურად მედიაციის საფუძვლის მსგავსია.[182]

მედიაციის ეთიკის წესები განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია, მედიაციის მიზნებისა და კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან მოქმედების კონფლიქტისას. თუ შეიქმნება ცალკე ეთიკის კოდექსი (დავის გადაწყვეტის ამ ალტერნატიული საშუალების მონაწილე ადვოკატისთვის,როგორც მხარის

---

[180] *ჩიტაშვილი ნ.,* მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი N1, 2016 , 27-28.

[181] *იქვე,* 38.

[182] *კიმბერლი კ.კოვაკი,* ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ჭურჭელს(ტიკი–რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან):იურისტის ეთიკის გარდაქმნა,რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი,დავის ალტერნატიული გადაწყვეტა,წელიწდეული, 2012 , 157.

წარმომადგენლისთვის) მედიაციის პროცესში მონაწილეობისას მასზე გავრცელდება სამართლებრივად მბოჭავი ეთიკის წესები, რომელიც საშუალებას მისცემს იურისტს უგულებელყოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მოთხოვნები.

დასკვნა

მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება ყოველდღიურად უფრო და უფრო აქტუალური ხდება, შესაბამისად საჭიროებს ახლებურ მიდგომებს. იმისთვის, რომ მედიაციის მიზნები სრულფასოვნად იქნეს მიღწეული საჭიროა მასში მონაწილე ყველა პირის მიმართ გარკვეული სტანდარტებისა და მოთხოვნების ჩამოყალიბება.

ჩემს ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ადვოკატ-წარმომადგენლის, როგორც მედიაციის პროცესის მონაწილისთვის დადგენილ ეთიკის სტანდარტზე.

წინამდებარე ნაშრომმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გამოცდილებით, მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატებისთვის დამახასიათებელი ქცევა ეთიკის კომისიის რეკომენდაციებითა თუ კოდექსებით მოწესრიგებულია, აღნიშნული საკითხი უფრო ღრმა კვლევას მაინც საჭიროებს. მეტად უნდა იქნეს გამოკვლეული და გათვალისიწინებული მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატ-წარმომადგენელთა ქცევის სტანდარტი და ის ფაქტორები, რომლებიც მათ ქცევაზე გავლენას ახდენენ. აგრეთვე საჭიროა ჩამოყალიბდეს ერთიანი სტანდარტი იმასთან დაკავშირებით თუ როგორი ქცევაა მედიაციის პროცესში მოულოდნელი ადვოკატისგან.

ნაშრომზე მუშაობისას, უცხო ქვეყნის პრაქტიკაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა რამდენიმე ტიპის ადვოკატი. ადვოკატი როგორც მრჩეველი, მომლაპარაკებელი, შემფასებელი და პრობლემის გადამჭრელი. ამასთანავე, გამოიკვეთა ის დადებითი მხარეები რომელიც თან ახლავს ადვოკატის მედიაციის პროცესში მონაწილეობას.

კვლევაში, ადვოკატის მონაწილეობის დადებით მხარეებთან ერთად ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზეც, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინონ მედიაციის პროცესზე. ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენს ადვოკატის, როგორც მხარის წარმომადგენლის პროცესის დამაბრკოლებელ პირად აღქმა. ამის განმაპირობებელ ფაქტორად შესაძლოა ადვოკატისთვის დამახასიათებელი შეჯიბრებითი სისტემის არსებობა იქნეს მიჩნეული.

შედარებითსამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, უნდა აღინიშნოს რომ შეჯიბრებითი სისტემისთვის დამახასითებელი ქცევით ადვოკატი, როგორც მხარის წარმომადგენელი, მედიაციის პროცესის დამაბრკოლებელ მონაწილედ იქცევა. იმისთვის, რომ ადვოკატმა შეჯიბრებითობის სისტემისთვის დამახასიათებელ ქცევას თავი დააღწიოს, საჭიროა, როგორც მედიაციის ეთიკის წესების შემუშავება ასევე მედიაციის რაობის, მიზნების გააზრება და დავის გადაწყვეტის ამ ალტერნატიული საშუალების

პროცესისთვის დამახასიათებელი ქცევის გამომუშავება, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების აზროვნების ფორმირებას (რომ ადვოკატის შესაძებლობაზე უფრო მეტად მის მიერ დავის შეთანხმებით მოგვარება მიუთითებდეს.) პრობლემის ამგვარად გადაჭრის შედეგად, შეჯიბრებითობის გამორიცხვით, მედიაციის მიზნების სრულად განხორციელების შესაძლებლობას მივიღებთ. ეს თავისთავად, გაზრდის მედიაციის ცნობადობას. იურისტი,რომელსაც ექნება მოტივაცია, რომ დავა შეთანხმებით მოაგვაროს აუცილებლად ურჩევს თავის კლიენტს მიმართოს დავის გადაწყვეტის ამ ალტერნატიულ საშუალებას, ცნობადობის გაზრდა კი სასამართლო სისტემის გადატვირთულობას შეამსუბუქებს და რაც ყველაზე მთავარია, ამ პრობლემის მოგვარება, მედიაციას მისცემს შესაძლებლობას, იქცეს სასამართლო სისტემის ნამდვილ ალტერნატივად.

ნაშრომში ყურადღება გამახვილდა აგრეთვე იმ საკითხზე, თუ რამდენად შეძლებს ერთი და იგივე პირი კლიენტის წარმოდგენას ჯერ შეჯიბრებითობის სისტემაში და შემდგომ თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობაში ან სხვაგვარდად რომ ვთქვათ რამდენად შეძლებს ცნობილი მგელი ეფექტურ ცხვრად გადაქცევას.[183]

უცხო ქვეყანაში დადგენილმა სტანდარტებმა აჩვენა, რომ შესაძლოა ადვოკატის ქცევა შეიცვალოს, გარკვეული ეთიკის ნორმების დადგენით მაგრამ საკმაოდ რთულია ხასიათის ცვლილება, რადგან ინდივიდისთვის დამახასიათებელი, გამჯდარი თვისებები მარტივად შეცვლას არ ექვემდებარება. ბუნებრივია, ადვოკატისთვის დამახასიათებელი თვისებები შეჯიბრებითობისა და კონკურენციის ელემენტისგან თავისუფალი ბოლომდე ვერ იქნება, მაგრამ უმჯობესია თუ ისინი საქმეს უფრო თანამშრომლობითი განწყობით მიუდგებიან.[184] მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ, იმისთვის რათა ადვოკატები მედიაციის პროცესში დისფუნქციონალურ ელემენტებად არ იქცნენ, აუცილებელია მედიატორის გავლენის სწორად შეფასება და პროცესზე მაქსიმალურად ორიენტირება.[185]

შედარებისამართლებრივი კვლევის საფუძველზე უნდა აღინიშნოს რომ, ადვოკატის როგორც მხარის წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები უცხო ქვეყნების იურისდიქციებში მეტნაკლებად მოწესრიგებული და შემუშავებულია.

ნაშრომზე მუშაობისას, გამოიკვეთა ადვოკატ-წარმომადგენლების ის ძირითადი მახასიათებლები და ვალდებულებები, რომლებიც საჭიროა მედიაციის პროცესში მხარის წარმომადგენლობისას. ესენია: კლიენტის

---

[183] *იქვე,* 158.
[184] *იქვე,* 157.
[185] *Clark B.,* Lawyers and Mediation, University of Strathclyde, Glasgow, 2012, 415.

ინტერესების პრიორიტეტულობა და მისი საუკეთესო ინტერესებიდან მოქმედება, კლიენტის მიზნების პატივისცემა და ამ მიზნების შესაბამისად მოქმედება, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, მედიაციის პროცესში მონაწილე პირების მიმართ გულისხმიერად, თავაზიანად, სამართლიანად და კეთილსინდისიერად მოქცევა, კლიენტთან ერთად ისეთი საშუალებების მოძიება და შერჩევა, რომლითაც მაქსიმალურად იქნება მიღწეული მხარის მიზნები და ინტერესები.

კვლევამ აგრეთვე აჩვენა მედიაციის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის საჭიროება, რაც არა მხოლოდ მხარის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებისთვის არის აუცილებელი და მნიშვნელოვანი, არამედ ზოგადად საზოგადოებაში მედიაციის მიმართ ნდობის მოპოვებისთვის. მნიშვნელოვანია ნაშრომიდან გამოიკვეთოს, კლიენტისთვის ადვოკატის მონაწილეობის საჭირო ფაქტორები: ადვოკატის მიერ რჩევა-დარიგებების, საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი რჩევების მიცემა პროცესთან და მის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით, აღნიშნული რჩევებით საკუთარი ღირებულებებისა და ინტერესების გაცნობიერება და პოზიციების გამოკვეთა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ადვოკატის მიერ კლიენტის ემოციური მდგომარეობის შესწავლა და ამ მდგომარეობაზე მორგების აუცილებლობა.

საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ანალიზმა ცხადჰყო საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ეთიკურ პრინციპებთან და ვალდებულებებთან მსგავსება. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კომისიის კონკრეტული გადაწყვეტილებების განხილვით, გამოიკვეთა ადვოკატების მიერ მათთვის დადგენილი ეთიკის სტანდარტების დარღვევის და უგულებყოფის შემთხვევები.

საერთაშორისო კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ ადვოკატისთვის დადგენილი ეთიკის სტანდარტები რიგ შემთხვევაში სარეკომენდაციო ხასიათისაა, რიგ შემთხვევაში კი - მბოჭავი.

ნაშრომში აგრეთვე განხილული იქნა, ამერიკის შეერთებული შტატების ადვოკატთა ასოციაციის მიერ პროფესიული ქცევისათვის დადგენილი მოდელური წესები, რომელთა შესაბამისადაც ადვოკატმა უნდა ეძიოს კლიენტისთვის ხელსაყრელი შედეგი, გულმოდგინედ დაიცვას თავისი კლიენტის ინტერესები, შეიბოჭოს მისი გადაწყვეტილებებით და შეუთანხმოს კლიენტს ნებისმიერი ქმედება, რომლის განხორციელებასაც იგი აპირებს.

კვლევისას გამოიკვეთა ეთიკა 2000-ის რეკომენდაციები და ეთიკის სტანდარტები მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატებისთვის. ასეთივე რეკომენდაციები გასცა ავსტრალიის სახელმძღვანელომ ადვოკატებისთვის,

რომელიც ძირითადად აქცენტს მედიაციის პროცესისთვის მომზადებას და კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვაზე აკეთებს.

ნაშრომის ბოლო თავში განხილული იქნა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, საქართველოს რეალობა, სადაც მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატებისთვის ცალკე დადგენილი რაიმე წესები და სტანდარტები არ არსებობს, შესაბამისად ისინი მოქმედებენ საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად. ვფიქრობ, რომ სამომავლოდ ჩვენს ქვეყანაშიც უნდა შემუშავდეს,კონკრეტულად მედიაციაში მონაწილე წარმომადგენლისთვის დადგენილი გარკვეული ქცევის წესების ერთობლიობა, ან შესაბამისი ორგანოს მიერ უნდა გაიცეს მინიმუმ რეკომენდაციები რომელიც საბოლოოდ გამიჯნავს სასამართლო და მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატებისთვის დამახასიათებელ ქცევებს. ბუნებრივია, ზოგიერთი ძირითადი პრინციპი უცვლელი დარჩება ორივე ტიპის ადვოკატისთვის, მაგრამ ის პრინციპები რომლებიც რეალურად წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან და დავის გადაწყვეტის კონკრეტული საშუალების არსთან რაღაც დონეზე მაინც მოწესრიგდება. ამასთანავე სასურველია, ადვოკატებს რომელთაც სურთ თავისი პროფესიული ცხოვრება დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს დაუკავშირონ, კარიერული ნაბიჯების საწყის ეტაპზევე ჩაუტარდეთ ტრეინინგები მათთვის საჭირო უნარების გამომუშავებისა და ქცევის სტანდარტის ჩამოყალიბების შესახებ. აღნიშნულის განხორციელებით, მივაღწევთ მედიაციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიზანს და საბოლოოდ გავათავისუფლებთ მას სასამართლო პროცესისთვის დამახასიათებელი შეჯიბრებითი სისტემის მარწუხებისგან.

სამომავლოდ, მედიაციის განვითარებისთვის ადვოკატს უნდა ჰქონდეს პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი იმოქმედებს გაბატონებული სამართლებრივი კულტურის საპირისპიროდ. ამის მოსახერხებლად, ადვოკატები საჭიროა იყვნენ თავშეკავებულები და მუდმივად იღებდნენ ისეთ ცოდნას რომელიც მათ გაუქრობს დავაში დაპირისპირების წარმოქმნის სურვილსა და მიდრეკილებას.[186] გარდა ამისა, სასურველია მოწესრიგდეს ისეთი პრობლემები როგორიცაა, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაში ინფორმაციის გაცვლის, ნდობის მოპოვების, ერთგულების, კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან მოქმედების ვალდებულება, მედიაციის პროცესის სხვა მონაწილე პირების მიმართ ადვოკატის ქცევის სტანდარტების დარეგულირება: კეთილსინდისიერად, გულწრფელად, კოლეგიალურად,

[186] *Clark B.,* Lawyers and Mediation, University of Strathclyde, Glasgow, 2012, 420.

თავაზიანად მოქმედების ვალდებულება და ადვოკატის დამოუკიდებლად და თავისუფლად მოქმედების ვალდებულება.

საბოლოო ჯამში, უნდა აღინიშნოს რომ ადვოკატისთვის მედიაციის პროცესში მონაწილეობისთვის საჭირო ეთიკური წესების დადგენა, დადებითად იმოქმედებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე და ხელს შეუწყობს მედიაციისთვის არსებული პოტენციალის სრულყოფილ გამოყენებას.[187]

[187] *ჩიტაშვილი ნ.,* ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, სამართლის ჟურნალი N2, ირაკლი ბურდულის რედაქტორობით, 2016, 51.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა:

გასიტაშვილი ე., ხუბულური თ., ბოჭორიშვილი კ., კვაჭანტირაძე დ., ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013წწ., თბილისი, 2013.

გურიელი ა., ადვოკატის როლი სამოქალაქო სამართლებრივი დავების მედიაციის პროცესში, წელიწდეული, 2016.

კიმბერლი კ. კოვაკი, ახალი ღვინო საჭიროებს ახალი ღვინის ჭურჭელს (ტიკი–რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან) :იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, 2012.

კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძახია ი.; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით; თბილისი, 2011.

კვაჭანტირაძე დ., ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები - კეთილსინდისიერება და კვალიფიციურობა, კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, 2014.

ლემპერერი ა.პ., კოლსონი ო., მოლაპარაკების მეთოდები, ჯისიაი, თბილისი, 2009.

ჩიტაშვილი ნ., „მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები“, სამართლის ჟურნალი N1, 2016.

ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, სამართლის ჟურნალი N2, 2016.

ცერცვაძე გ., მედიაცია, თბილისი, 2010.

წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბილისი, 2016.

მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, გ.ცერცვაძის რედაქტორობით, თბილისი, 2013.

ხარებავა გ.,„ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები მედიაციაში წარმომადგენლობის ეტაპზე", თბილისი, 2018.

ხეჩუაშვილი ლ., პიროვნება, შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში I. თბილისი, 2013.

უცხოური ლიტერატურა:

Arthur, J., K., Confidentiality and privilege in mediation, Australian alternative dispute resolution bulletin, 2015.

Corbin L., Baron P., Gutman J., ADR Zealots, adjudicative romantics and everything in between: lawyers in mediations, UNSW Law Journal, Berlin, 2015.

Clark B., Lawyers and Mediation, University of Strathclyde, Glasgow, 2012.

Douglas K, Batagol B., The Role of Laweyers in Mediation: insights from Mediators at Victoria's Civil and Administrative Tribubal, Monash University, 2015.

Esplugues C., Marquis L., New Developments in Civil and commercial Mediation, Global Comparative Perspectives, Montreal-Valencia, 2015.

Fisher P., All you need to know about Mediation, but didn't know to ask- A parachute for parties in litigation, 2000.

Galluccio M., Handbook of international negotiation, interpersonal, intercultural and diplomatic perspectives, Brucels, Belgia, 2014.

Goldsmith J. C., *Ingen-Housz A.*, *Pointon G. H.*, ADR in Business: Practice and Issues Across Countries and Cultures, Vol. II, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2011.

Henke E.-M., Confidentiality in the Model Law and the European Mediation Directive, Germany, 2009.

Hughes P., Ethics in Mediation: Which rules? Whose rules?, Berlin, 2001.

Marcus M.D., Mediation Ethics.

Max R.A., Mediatio in Public Policy, 47 Cumb. L. Rev. 293, 2017.

Mayer B., Confronting the Crisis in Conflict Resolution, USA, 2004.

Macaulay S., Lawyers and consumer protection laws, 1979.

Menkel-Meadow C., Ethics in Alterative Dispute Resolution: New Issues, No Answers from the Adversary Conception of Lawyers' Responsibilities, Georgetown, 1997.

Nolan-Haley J., Lawyers, Clients, and Mediation, 73 Notre Dame L. Rev. 1369 (1997).

Roth, B., J., Ethical Considerations for Advocates in Mediation, Boston, 2005.

Sherill, J., A. Ethics for lawyers representing clients in mediations.

Wolski B., On Mediation,Legal Representatives and Advocates, U.N.S.W.L.J., 2015.

სამართლებრივი აქტები:
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია", დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 15 აპრილი, თბილისი, 2006.

გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ
http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL1.25&d=HASH012474ee40d64854e256058a.14&gt=1

American Bar Assosiation, Section Of Litigation, Ethical Guidelines For Settlement Negotiations, 2002.

Guidelines for lawyers in mediation, Law council of Australia, 2011.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები:

2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმე N 001/10.

2010 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმე N 057/10.

2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე N 086/10.

2011 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება საქმე N 022/11.